№ 210 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მანეთი. პარასკევი 19 სექტემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ტფ. ქალაქის მოურავისაგან

მე მომდის ცნობები, რომ ვითომც ვაჭართა დეპუტატების საბჭო, რომელსაც ქალაქის გამგეობამ მიანდო სანიტარული გადასახადის განაწილება, მოხარკეთ ვალდებულს ხდის ჩაეწერონ საბჭოს წევრად და აძლევინებენ გადასახადს და მხოლოდ იმათ ჰპირდება თავის მფარველობას. იმათ კი, რომელნიც არ მოისურვებენ წევრობას, ვითომც ავალებენ გადასახადის $^{1}/_{2}$% გადახდას ხარჯების დასაფარავად.

ამით ვაცხადებ მოხარკეთა საყურადღებოთ, რომ არავითარი გადასახადის აკრება, სანიტარულ გადასახადთან დაკავშირებული, დაშვებული არ იქნება.

იმ პირთ, რომელნიც მოისურვებენ, თავისი ნებით ჩაეწერნენ წევრად, რასაკვირველია, არ ეკრძალებათ რაიმე ფულის გადახდა, ხოლო თუ ვინმე მოისურვებს რაიმე ზეგავლენა მოახდინოს მოხარკეზედ, რომ მას ფული გადაახდევინოს ამის ნებას არავის მივცემ.

ქალაქის მოურავი **ჩხიკვიშვილი**

ქალაქის საბჭომ 1919 წლ. 4 სექტ. დაადგინა:

„ყველა ის მესაკუთრეები, რომელთაც ამ წლის პირველ იანვრიდან ქ. ტფილისში შეუძენიათ უძრავი ქონება (მიწა ან სახლი) ათი ათას მანეთზედ მეტი ღირებულებისა, დაიბეგროს სანიტარული გადასახადით გამგეობის შეხედულობით, მაგრამ არა უმცირეს იმ ნორმებისა, რომლებიც მიღებულია ჯამაგირებიანი ხალხისათვის“.

გამგეობამ დაიმუშავა ზემოხსენებული მესაკუთრეთა სია, რიცხვით 359, რომელთაც შეუძენიათ 72267807 მან. ღირებული მამული.

რომ შესაძლებელი ჰყოს ამ ბეგარის გადახდა, გამგეობამ გადასწყვიტა მოიწვიოს საზოგადო კრება იმ მესაკუთრეებისა, რომელთაც ამ წლის პირველ იანვრიდან, შეუძენიათ რაიმე უძრავი ქონება, რომ მათთან ერთად შეიმუშაოს გადასახადის პირობები. საზოგადო კრება დანიშნულია შაბათს, 20 სექტემბერს, 1919 წ. საღამოს ექვს საათზედ, საბჭოს დარბაზში.

1744 2—2

საქართველოს არსენალის უფროსი

ამით აცხადებს, რომ 25 ენკენისთვეს დაიწყება მეცადინეობა არტილერიის და სათოფო ტეხნიკების მოსამზადებელ კურსებზე. ყველა ჯარის ნაწილების უფროსებმა ამ დღისთვის უნდა გამოგზავნონ ის პირნი, რომლებიც დაშვებულნი არიან კურსებზე ლექციების სასმენლათ, მათ უნდა ჰქონდეთ სათანადო საბუთები (აწერილობა, პირადობის მოწმობა, მოწმობა საშუალო ან ტეხნიკურ სასწავლებლის დასთავრების შესახებ) აღნიშნულ პირნი უნდა გამოცხადდენ არსენალის უფროსთან (არსენალის სამდივნო). მიღებულ იქნებიან აგრეთვე თავისუფალი მსმენელნი, რომლებსაც შეუძლიათ გაეცნონ მიღების პირობებს არსენალის უფროსთან. მსმენელნი სამხედრო მოხელენი უნდა იქნენ ჩარიცხულნი რომელიმე ტფილისში მყოფ სამხედრო ნაწილში, საიდგანაც უნდა დაკმაყოფილდენ ყოველგვარ ხვედრით დაწესებულ სამხედრო პირთათვის, გარეშე პირნი კი ითვლებიან საკუთარ ხარჯზე. ლექციების კითხვა გაგრძელდება კურსებზე 8 თვეს: 6 თვეს თეორია და 2 თვეს პრაქტიკული მეცადინეობა.

1848 არსენალის უფროსი პოლკოვნიკი **გედევანიშვილი**.

ევროპიულ-კავკასიური სავაჭრო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, პირველი სათანხო კაპიტალის დროებით მოწმობაზე ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ვადა მთელი ფულის შემოტანისა (დანარჩენი 70%) დანიშნულია ამა წლის 25 ოქტომბრისთვის და ვინც დანიშნულ დროზე არ შემოიტანს, გამგეობა იძულებული იქნება მიიქცეს ბანკის წესდების მე-9 მუხლის თანახმად (შემოუტანელი მოწმობის №№ 52).

1374 3—1 **გამგეობა**.

სახელმწიფო მოს. ეკონომიურ საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ.

სახელმწიფო მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ კვირას 21 ენკენისთვეს 1919 წ. დილის 10 ს. ქართული კლუბის შენობაში (დამფუძნ. კრების ქუჩა, 5) დანიშნულია წევრთა მეორე საზოგადო კრება, რომელიც ჩაითვლება კანონიერათ რაიდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. დღიური წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების მდგომარეობის შესახებ, 2) არჩევა გამგეობის წევრების და მათი კანდიდატების, 3) სარევიზიო კომისიის ერთი წევრის არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები. გამგეობა სთხოვს საზოგაოოების ყველა წევრებს აუცილებლად დაესწროს ამ კრებას.

1375 **გამგეობა**

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა სამმართველო.

№ 21.

ალექსანდრა გრიგოლის ასული ჟორდანია ამა წლის პირველ ოქტომბრიდან დაინიშნოს მთავრობის საქმეთა მმართველობის კანცელარიის მოხელეთ.

მთავრობის საქმეთა მმართველი
ქ. **ჯაფარიძე**.

—

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

№ 98.

გაუქმებულ ტფილისის გუბერნიის სამმართველოსი და საგუბერნიო კომისარიატის არქივების დროებით გამგებლობისათვის დატოვებულნი ვ. ბიჩკოვსკი, ჩერნიშევი, კუდაჩენკო, დობროვინსკი, არატამანოვი და მარგუნოვი და ყოფილ ტფილისის საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს სალიკვიდაციო ე. ზ. ციგანკოვი, მ. ი. ტერ-გრიგორიევი და ა. ს. დარახინი 1 ამა სექტემბრიდან განთავისუფლებულნი არიან დაკისრებულ მოვალეობიდან საერთო წესით შტატს გარეშე დატოვებით და შტატს გარეშე დარჩენილთა ჯილდოს მიცემით.

მინისტრის ამხანაგი **ჭიჭინაძე**.
კანცელარიის დირექტორი **აფაქიძე**.

16 სექტემბერი, 1919 წ., № 101.

13 ამა სექტემბერს ქალაქ ტფილისში იმ ბოროტგამზრახველის დევნის დროს, რომელსაც გენერალ ზარათოვის და ოდიშელიძის მოკვლა სწადდა, ქალაქის და სისხლის სამართლის მილიციის მოხელეთა მიერ დაცულ იქმნა ქუჩებში სამაგალითო წესრიგი და გამოჩენილ იქმნა განსაკუთრებული ენერგია, გამჭრიახობა და სიმამაცე, რის მეოხებითაც მოხერხდა მთავარი ბოროტ გამზრახველის მოკვლა.

აღვნიშნავ რა სიამოვნებით ასეთ თავდადებულ მოღვაწეობას ადმინისტრაციისას, გულწრფელ მადლობას ვუცხადებ ვ. ა. სულაქველიძეს და პ. ზ. ფაჩულიას, როგორც ნიჭიერ და ენერგიულ ხელმძღვანელთ ქალაქის და სისხლის სამართლის მილიციის, აგრეთვე ყველა იმ მილიციელთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ ბოროტ-მოქმედის დევნაში; მილიციონერებს გელოვანს და ჩხარტიშვილს კი, რომელთაც საგანგებოთ თავი ისახელეს, ვუნიშნავ ჯილდოს სახით ერთდროულ დახმარებას ფულით, პირველს 3,000 მანეთს, მეორეს კი 2,000 მანეთს.

მინისტრი ნ. **რამიშვილი**.

—

დათხოვნილია სამსახურიდან თანახმად თხოვნისა ქ. ახალციხის პუნქტის ვეტერინარექიმი ორლოვსკი 10 სექტემბრიდან 1919 წ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი
ჭიჭინაძე.
ვეტერინარ-სანიტარულ გან. გამგის მაგიერ
დ. **ახმეტელაშვილი**.

—

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლიორის.

13 სექტემბერი, 1919 წ., № 139.

ინიშნებიან ამა წლის სექტემბრის 12 დან სახელმწიფო კონტროლის რევიზორის თანაშემწენი: ალავერდოვი გაბრიელ იაკობის ძე, ბარბაქაძე მიხეილ ფილიმონის ძე, დიდეევი ივანე გრიგოლის ძე, ლორთქიფანიძე ანდრია კლიმენტის ძე, მეგრაბოვი დავით ივანეს ძე, კარალოვი ვლადიმერ ივანეს ძე, ფარადაშვილი გიორგი სტეფანეს ძე, შიუკაშვილი ივანე თედორეს ძე, ცირიკოვსკი ბიქტორ კიპრიანის ძე, ცინცაძე გერონტი ბესარიონის ძე, ხუბოვი ბესარიონ რაჟდენის ძე, რევიზორებად. მოანგარიშე მოხელენი: ბაბანასოვა ვერა ბორისის ასული, თარხან-მოურავი ალექსანდრე მიხეილის ძე, ყარაევი ედუარდ იოსების ძე, კოროტკოვი გრიგოლ გრიგოლის ძე, კოსტანაშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, ხაინდრავა ივანე გიორგის ძე, რევიზორის თანაშემწეებად.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი
კ. **ანდრონიკაშვილი**.

—

იუსტიციის მინისტრისა.

15 სექტემბერი, 1919 წ., № 213.

თავისუფლება მიეცა: სამინისტროს კანცელარიის საერთო განყოფილების საქმის მწარმოებელს კალისტრატე მარკოზის ძე ალშიბაიას 16 სექტემბრიდან ოქტომბრის 16-მდე.

16 სექტემბერი, 1919 წ., № 214.

დაინიშნეს: პავლე ილიას ძე მოსულიშვილი ლაგოდეხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის სექტემბრის 16-დან.

მინისტრის მაგ. ნ. **ქიქოძე**.
დირექტორი **ჟორდანია**.

—

საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.

1 სექტემბერი, 1919 წ. № 47.

გადაყვანილნი არიან. ზედამხედველები: ტფილისის ტელეფონის ქსელისა კონსტანტინე ვაშაკიძე და ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფისა აკოფ მაზმანოვი ერთი მეორის ადგილას სამსახურის სასარგებლოდ 1 სექტემბრიდან 1919 წ.

დათხოვნილნი არიან. ზედამხედველი ახალქალაქის კანტორისა დავით მაჭარაშვილი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ტფილისის რკინის გზის განყოფილებისა გიორგი სამნიაშვილი და ფოსტალიონი იმავე განყოფილებისა ფილიპე ოზაშვილი და დედოფლის-წყაროს ფოსტალიონი ვასილ ტაგანიშვილი (იგივე ლომსაძე) მაჭარაშვილის გარდა ყველანი თანახმად თხოვნისა 1 სექტემბრიდან.

3 სექტემბერი, 1919 წ. № 48.

დაინიშნულნი არიან: ცენტრალურ შტაბის ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწე ვლადიმერ ჩოჩია და იმავე კანტორის მოხელე ვართან ვახტანგიანცი იგივე ვახტანგოვი—ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფში: ჩოჩია მეხუთე ხარისხით, ვახტანგოვი—მეექვსე ხარისხით მეექვსე ხარისხის მოხელე ქალი ქუთაისის კანტორისა ვერა ბარაბაძე მეოთხე ხარისხის მოხელეთ იმავე კანტორაში. სამივე პირველ სექტემბრიდან 1919 წლიდან.

გადაყვანილია: მეორე ხარისხის მოხელე ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფის კანტორისა კოზმა (კონსტანტინე) ბერძენიშვილი იმავე წოდებით ტფილისის ფოსტაში 1 სექტემბრიდან 1919 წლიდან.

5 სექტემბერი, 1919 წ., № 49.

დანიშნულნი არიან: დუშეთის მეექვსე კლასის ფოსტის კანტორის უფროსი გრიგოლ ქვარაია და ყოფილი საველე შტაბის მოხელე ვასილ ქავთაროვი იგივე ქავთარაძე ფ. ტ. მოხელეებათ. ქვარაია ახალ სენაკში მესამე ხარისხით და ქავთაროვი ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფში მეექვსე ხარისხით- ორივე 1 სექტემბრიდან 1919 წლიდან.

გადაყვანილნი არიან: ფოსტალიონები ბორჯომის კანტორისა გიორგი ჯგუშია და ოლთის კანტორასა აკაკი დავითულიანი იმავე წოდებებით: ჯგუშია დედოფლის წყაროზე და დავითულიანი ტფილისის ფოსტაში-ორივე 1 სექტემბრიდან 1919 წლიდან.

დათხოვნილია სამსახურიდან: ფოთის კანტორის მეოთხე ხარისხის მოხელე თეოფანე ეჯიბია თანახმად თხოვნის 1 სექტემბრიდან 1919 წლიდან.

სამართველოს უფროსი **მგელაძე**.

არა ოფიციალური განყოფილება

შრომის სამინისტროში.

საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების შესახებ.

შრომის სამინისტრომ საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტს აუწყა, რომ 15 სექტემბერს სატარიფო პალატამ დაადგინა:

1. აღიარებულ იქნას, რომ 1 აგვისტოს მომატება გავრცელებულ იქნას საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეებზედაც.
2. მომატების შემოღების დროს მხედველობაში მიღებულ იქნას ის გარემოება, რომ ფაქტიურათ აპრილის მომატება ივლისში სავ-

სებით გავრცელდა საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეებზე.

3. წინადადება მიეცეს საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირს, საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტს, ქალაქის საკრედიტო საზოგადოებას და კერძო ლომბარდს ერთად შეადგინონ მოსამსახურეთა ჯამაგირის ხელფასის ტარიფის პროექტი, საკრედიტო დაწესებულებანი და თანამდებობანი კატეგორიებათ დაიყოს.

შრომის სამინისტრო სთხოვს საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტს და სხვებს, დააჩქარონ პროექტის შედგენა და სატარიფო პალატას წარუდგინონ განსახილველათ.

პურის მცხობელთა ტარიფი.

სატარიფო პალატამ უკვე შეიმუშავა ფურნის პურის მცხობელთა ტარიფი. ჯერ შედგენილი არ არის თორნის პურის მცხობელთა ხელფასის ტარიფი, რის გამოც შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა მეთორნეებს და თორნის პურის მცხობლებს დაჩქარებით წარმოადგინონ საჭირო მასალები.

რკინის ჩამომსხმელთა შუამდგომლობა.

რკინის ჩამომსხმელმა მომუშავეებმა შრომის სამინისტროს აუწყეს, რომ ზოგიერთი მწარმოებლები მასალის უქონლობის მიზეზებით წარმოებას ხურავენ და მუშებს ითხოვენ, რის გამოც შუამდგომლობენ სამინისტრომ დანიშნოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს რკინის წარმოების ეხლანდელი ნამდვილი მდგომარეობა და ის, თუ რამდენათ სამართლიანია, რკინის ჩამომსხმელ ქარხნების მეპატრონეების მომიზეზება რკინის და საჭირო მასალის უქონლობის მომიზეზება. შრომის სამინისტრომ განიხილა ეს შუამდგომლობა და მუშებს განუცხადა, რომ ასეთი კომისია უკვე დანიშნულია, შეუდგა კიდეც მუშაობას და მოკლე ხანში გამოარკვევს მდგომარეობას.

სახელმწიფო მოსამსახურეთა შუამდგომლობის უარყოფა.

შრომის პალატამ უშედეგოთ დასტოვა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების შუამდგომლობა, რომ გადასინჯულ ყოფილიყო დეკრეტი მომატების შესახებ, რადგან მოსამსახურეთა შუამდგომლობაში არ იყო მოყვანილი საამისო საბუთები.

შეშა სახელმწიფო მოსამსახურეთათვის

სატარიფო პალატამ დაადგინა მხარი დაუჭიროს სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა კავშირის შუამდგომლობას ქალაქთა კავშირის წინაშე, რომ მათ შეღავათიან ფასებში დაეთმოთ შეშა. ეს შუამდგომლობა მიწათ მოქმედების სამინისტროსადმი იყო მიმართული, მაგრამ შემდეგ ქალაქთა კავშირს გადაეცა, რადგან შეშის დამზადების საქმე მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებამ ქალაქთა კავშირს გადასცა.

საქართველოს რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობა.

15 სექტემბერი. დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ლ. შენგელაია.** დღის წესრიგშია ფინანსიური საკითხი. ყრილობის მიერ არჩეულ საფინანსო კომისიის დავალებით ამ საკითხზე მოხსენებას აკეთებს **ს. ჯანტურიშვილი.** მოგვყავს მოხსენება შემოკლებით.

საქართველოს ერობების ხელში გადავიდა მთელი რიგი სახელმწიფოებრივი ფუნქციებისა. მათ გამგებლობაში გადავიდა ადმინისტრაცია, სკოლა, სასამართლო, საადგილ-მამულო საქმეები, სანიტარია და სხვ. მთავრობის მიერ აღმოჩენილი დახმარება და ის გადასახადები (2°/₀ გადასახ. 10,15°/₀ სარენ. გადასახადისა და სხ.), რომელიც დამფუძნებელ კრებამ დააწესა, არ უკმაყოფილებს ერობებს მოთხოვნილებების მცირე ნაწილსაც კი. ამიტომაც არის, რომ ერობებს ხშირად უხდებათ გადახვევა კანონიერი გზიდან. ეს კანონიერების გზიდან გადახვევა გამოწვეულია ერობების საბიუჯეტო უფლებების შესახებ სათანადო კანონების უქონლობით. ჩვენ თუ არ გვინდა, რომ ერობები გადიქცენ უბრალო, თვითმოქმედების მოკლებულ სახელმწიფო დაწესებულებებათ, უნდა დავადგეთ შემდეგ გზას: ყოველივე **პირდაპირი გადასახადი** ერობის განკარგულებაში უნდა გადავიდეს. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ცენტრალური მთავრობის ხელში ეს გადასახადი მაინც ვერ აღწევს მიზანს. თუ ერობებს გადაეცა პირდაპირი გადასახადი, მაშინ ის უფრო ჩქარა და უმტკივნეულოდ გაიწერება და აიკრიფება, ვინემ ამას მოახერხებს მთავრობა თავისი ხარჯთ-ამკრეფი ინსპექტორების საშუალებით. 1919—20 წლ. ბიუჯეტში შემოსავალი ნავარაუდევია 797 მილ. მანეთზე მეტი და ამ დიდ ციფრში პირდაპირ გადასახადებს უჭირავს მხოლოდ 55,275,300 მ. აშკარაა, მთავრობას ადვილათ შეუძლია ეს გადასახადი ერობებს დაუთმოს. თუნდაც რომ არ დასთანხმდეს მთავრობა ამ გადასახადის ერობებისათვის გადაცემაზე, მან მისი განაწილება და აკრეფა უნდა გადასცეს ერობას.

ავიღოთ საუკეთესო გადასახადი—შემოსავალზე გადასახადი (ПОДОХОДНЫЙ НАЛОГЪ) ამ გადასახადმა სოფელში ყოვლად უმზგავსო და სასირცხო ხასიათი მიიღო. მისი არსებობა არც კი იციან სოფელში. ერობის ხელში კი ეს გადასახადი სხვა შედეგებს მოგვცემს. ჩვენ ვამბობთ, რომ გადასახადის დარგი უნდა იყოს მთავრობის ხელმძღვანელობის და კანტროლის ქვეშ. გადასახადთა ინსპექტორი უნდა დარჩეს **გადასახადთა ინსტრუქტორათ.** ასეთი რეფორმა აუცილებლად უნდა მოხდეს. გაკვრით აღვნიშნავთ, რომ სრული ცვლილება უნდა მოხდეს ფინანსთა სამინისტროს გადასახადთა განყოფილებაში. სხვა წყაროებზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც ისინი სადაო არ არიან. წარმოებას კი ერობის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს.

რაც შეეხება თემებს, მათ უნდა მიეცეს უფლება გადასახადთა გაწერისა სამაზრო ერობის დამტკიცების შემდეგ იმ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ, რომელიც თემებს ექნებათ: გამგეობის შენახვა, ზედ-მეტი სათემო მილიციონერების დაქირავება, სათემო გზის გასაყვანად ხარჯის გაწევა და ბევრი სხვა.

ამის გარდა სასურველია, რომ ყოველივე გადასახადიდან, რომელიც სამაზრო ერობის კომპეტენციაში შედის, განსაზღვრული პროცენტი სათანადო თემისთვის გადაირიცხოს.

მომხსენებელმა წამოაყენა შემდეგი თეზისები: 1 ყოველნაირი პირდაპირი გადასახადი გარდა შემოსავალზე გადასახადისა გადაეცეს ერობას. შემოსავალზე გადასახადიდან კი მიეცეს განსაზღვრული.

2. მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა შემუშავდეს კანონი, რომლის ძალით ერობებს გადაეცემა 40 პროცენტი იმ ფულისა, რომელიც შემოვა ხაზინაში მიწების გაყიდვით. თანახმათ 23 იანვრის აგრარულ კანონისა და 40 პროცენტი ღალებიდან საფონდო მიწების გაყიდვამდე. 3. ერობათა ცენტრს გადაეცემა სასურსათო საბჭოს მთელი ქონება. 4. სამაზრო ერობის განკარგულებაში გადადის საფონდო მიწებიდან ის ადგილები, რომელიც საჭირო იქნება სამაზრო ერობისათვის სხვა და სხვა კულტურულ საქმეების განსახორციელებლად. 5. დაევალოს ერობათა ცენტრს მოაწყოს ქალაქთა კავშირთან ერთად მუნიციპალური ბანკი. ამ უკანასკნელ მუხლის შესახებ მოხსენებას აკეთებს ვლ. მიქელაძე, რომელიც აღნიშნავს მუნიციპალური ბანკის დაარსების აუცილებელ საჭიროებას, რათა ერობებს საშუალება ჰქონდეთ დანაკისრი მოვალეობა ნაყოფიერად შეასრულონ. ყოველი საქმისათვის, ამბობს მომხსენებელი, არის საჭირო კრედიტი. ასეთ კრედიტს არც ერთს არსებულ ბანკიდან ჩვენ ვერ მივიღებთ. კრედიტის მოწყობა უნდა იკისროს თვითონ ერობებმა. ამიტომ მათ უნდა დაიარსონ საკუთარი ბანკი. ეს ბანკი უნდა მოეწყოს აქციონერულ პრინციპზე: ე. ი. ამ ბანკის განყოფილებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველა ერობებმა. მაშინ მას დიდი ნდობა ექნება, როგორც აქ, ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ბანკისათვის საჭიროა ძირითადი თანხა და მობარებული ფული. უპირველესად ყოვლისა უნდა შედგენილ იქნას ძირითადი თანხა და მერე ფულების მობარებასაც დაიწყებენ (ამის შესახებ პროვინციებში ერობებმა დიდი პროპაგანდა უნდა გასწიონ). ეს თავისთავად მოხდება, რადგანაც ბანკი შუამავალია ფულის გამსესხებელ და მსესხებელთა შორის. და ხალხიც თავის დაწესებულებაში ფულს შემოიტანს ძირითად თანხათ სრულიად საკმარისი იქნება 15 მილიონი მანეთი. ამ თანხაზე ბანკი გამოუშვებს აქციებს და ერობებს შეუძლიანთ მისი შეძენა. ეს აქცია შეიძლება გაყიდო, დააგირაო და მოიხმარო როგორც ფული. თუ რომელიმე ბანკს მიჰყიდე, მაშინ ის გაგიხსნის მიმდინარე ანგარიშს და იქიდან მოგცემს ფულს. მეორეს მხრით აქციაზე თან და თან ირიცხება დივიდენდი. თუ ასეთი ბანკი დავაარსეთ, მაშინ ერობებს შეძლება მიეცემათ ჩვენი ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობის საქმე ხელში აიღონ და საერთოდ საქვეყნო საერობო საქმეები ნაყოფიერად აწარმოვონ. შეკითხვის შემდეგ ორივე მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

გ. მაღნარაძე (სენაკის ერ.) საფინანსო საკითხზე წაკითხული მოხსენება დამაკმაყოფილებელია. ის პრინციპიალურად კამათს არ გამოიწვევს, რადგანაც საფინანსო კომისია დამდგარა წმინდა სახელმწიფოებრივ ინტერესების ნიადაგზე: მას სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად საჭიროდ უცვნია საერობო ბიუჯეტის არსებობის აღიარებაც. ის გადასახადები, რომელიც მოხსენებაშია აღნიშნული, მომავლის საქმეა, ამ ჟამად კი აუცილებლად საჭიროა მომარაგების კომიტეტების ქონების განაწილებაზე იქნას რაიმე მუხლი შეტანილი წარმოდგენილ თეზისებში. თუ ეს დროებითი წყარო არ ექნა ერობებს, მათ არსებობა არ შეუძლია. მოხსენებაში არაფერი არ იყო ნათქვამი აგრეთვე თემებისათვის თვითდაბეგვრის უფლების მინიჭების შესახებ. ეს კი საქმეს ავნებს. აუცილებლათ უნდა შევიტანოთ ჩვენს რეზოლიუციაში თვითდაბეგვრის შესახებ სათანადო მუხლი. ეს ეხლავე უნდა გატარდეს საკანონმდებლო გზით.

ლობჟანიძე (რაჭის ერობა). წარმოდგენილი თეზისები არ აკმაყოფილებს. ის მოითხოვს, რომ ამ თეზისებში შეტანილ იქნას დემოკრატიულ-სოციალისტური სული: თეზისებში აღნიშნულ იქნას, სურვილი, რომ მთავრობამ პირველ შესაძლებლობისთანავე გააუქმოს არაპირდაპირი გადასახადები და გადავიდეს პროგრესიულ გადასახადზე. ორატორი მოითხოვს უფრო დაწვრილებით აღნიშვნას თეზისებში შემოსავლის წყაროებისა.

კარიჭაშვილი (სიღნაღის ერობა) ამტკიცებს, რომ თემებს აუცილებლათ უნდა მიენიჭოს თვითდაბეგვრის უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თვითმომქმედნი ორგანიზაციები აღარ იქნებიან და ნაყოფიერად ვერ შესძლებენ მუშაობის წარმოებას.

მ. კლიმიაშვილი (სიღ. ერობა) აღნიშნავს, რომ საფინანსო კომისიას უფრო დაწვრილებით არ შეეძლო თეზისების გამომუშავება, რადგანაც სათანადო მასალები არ მოეპოვებოდაო. ამ დეტალების აღნიშვნა უნდა მიენდოს მუდმივ კომისიას ან ცენტრს.

მ. ცეკვაშვილი (სენაკის ერობა) აკრიტიკებს წამოყენებულ თეზისებს და აღნიშნავს, რომ თეზისები ზოგადათ, განყენებულათ არის შედგენილი, მასთან ორი ეკონომიური ხასიათის მუხლია სრულიად უადგილოთ შეტანილი. ჩვენ დავავალეთ კომისიას, ამბობს ორატორი, არა მარტო შემოსავლის წყაროს გამოძებნა (ასეთი თითქმის ყველა ერობას აქვს), არამედ ისეთი გადასახადების სისტემის გამომუშავება, რომელიც კარგ განწყობილებას შექმნიდა სამაზრო ერობის და თემთა შორის, ანუ სწორად რომ ვსთქვათ: დაამყარებდა კარგ ურთიერთობას გადასახადების გამწერ და გადამხდელთა შორის. გარდა ამისა არ არის აქ გატარებული პრინციპი გადასახადთა ერთფეროვნებისა, რაც აუცილებლათ საჭიროა, რომ ერთგვარი წესრიგი არსებობდეს გადასახადების საქმეში. არაფერი არ არის ნათქვამი მოხსენებაში სპეციალურ დაბეგვრის შესახებ, როგორც ეს შემოღებულ იყო პრუსიაში. ორატორი პრინციპიალურად თანახმაა მუნიციპალური ბანკის დაარსების, მაგრამ ის ამ საკითხს უკავშირებს ჩვენი ვალიუტის საკითხის გამორკვევას და სანამ ეს არ გამორკვეულა, ასეთი ბანკის დაარსება ნაადრევათ მიაჩნია.

მომხსენებელი **ჯანტურიშვილი** უპასუხებს ოპონენტებს და ამტკიცებს, რომ ერობათა ყრილობას უფლება არა აქვს ფინანსიური სისტემის, ან გადასახადთა სისტემის შექმნისა; ეს საკანონმდებლო ორგანოს საქმეა. ჩვენ მხოლოდ ვიმუშავებთ ზომებს, რომლითაც შეგვიძლია ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება. საფინანსო კომისიის დანიშნულება იყო მხოლოდ მთავრობისათვის ეთხოვა პროცენტები სხვა და სხვა შემოსავლიდან და სწორედ ამის და მიხედვით არის შედგენილი წარმოდგენელი თეზისები. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი დაგვეთანხმა იმ მუხლებზე, რომელიც თეზისებშია და დაგვპირდა შესაფერი კანონ-პროექტის შეტანა მთავრობაში სამინისტროს მიერ. რაც შეეხება თემების ბიუჯეტს, ეს ასე უნდა იქნეს მოწყობილი: თემის საბჭო შეიმუშავებს ხარჯთ-აღრიცხვას ამა თუ იმ საქმის გასაკეთებლათ და წარუდგენს სამაზრო ერობის გამგეობას. თუ უკანასკნელმა დაადასტურა ხარჯთ-აღრიცხვა, მაშინ მას შეუძლია თვითდაბეგვრა.

ყრილობამ რეზოლიუციის გამოტანა გადასდო ყრილობის ბოლომდე.

გ-ნ ნოე ჟორდანიას მოხსენება: „თანამედროვე მომენტი და გვარდიის დანიშნულება“.

წაკითხული საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა პირველ ყრილობაზე, 14 სექტემბერს. სალამოს სხდომაზე

ამხანაგებო! გვარდიის მთავარმა შტაბმა მე მომანდო თქვენ წაგიკითხოთ მოხსენება შესახებ თანამედროვე მომენტისა და გვარდიის დანიშნულებისა. მომენტი შეიძლება იყოს ბევრნაირი. რა არის მომენტი? მომენტი არის, ასე რომ ვსთქვათ, ძალთა და გარემოებათა ისეთი ქსოვილი, რომელშიდაც უხდება მოქმედება და ცხოვრება ამ თუ იმ საზოგადოებას. აი ეს კომბინაცია ძალთა და გარემოებათა შეიძლება იყოს ორ ნაირი: ერთი შეიძლება იყოს წარმავალი დღიური ან თვიური. მეორე შეიძლება იყოს უფრო ძირითადი, უფრო მუდმივი და ხანგრძლივი. საიდან გამომდინარეობს წარმავალი მომენტი. ავიღოთ მაგალითი: აქ, ჩვენში, სხვა და სხვა მომენტი იყო, სხვა და სხვა ძალთა და გარემოებათა კომბინაცია; სხვა და სხვა დროს სხვა მომენტი იყო; როცა მოვიდნენ აქ გერმანელები სხვა მომენტი იყო, როცა მოვიდნენ ინგლისელები სხვა მომენტი იყო, როცა ინგლისელები წავიდენ სხვა, და ასე რომ ეს კომბინაცია იცვლება და ვუწოდებ ასეთ მომენტს—მომენტს წარმავალს.

არის მეორე მომენტი ანუ ძალთა და გარემოებათა მეორე ხარისხის კომბინაცია, რომელიც არ არის ცვალებადი, რომელიც არ არის წარმავალი, რომელიც ძირითადი და მუდმივია. აი ეს მეორე ხანის კომბინაცია ჩვენში ორი წელიწადია არ შეცვლილა.

ეს წარმავალი მომენტი აშენებული და აგებულია იმ ძირითად მომენტზე, რომელიც წარმოიშვა რევოლიუციის შემდეგ, ამიტომ მე მინდა თქვენ მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა ამ მუდმივ ახალად შექმნილ ძალთა და გარემოებათა კომბინაციაზე, რომელიც არის ძირითადი ანუ მომენტი. თქვენ საერთოდ წარმოადგენთ შეიარაღებულ ძალას, მაგრამ არა მარტო შეიარაღებული ძალა ხართ თქვენ, თქვენ ხართ ძალა იდეურიც.

ჩვენი გვარდია არის შედგენილი სწორედ გვარდიელთა სრული თანხმობით, მაშასადამე, როცა რომელიმე პიროვნება თავის ნებით იღებს თოფს და გამოდის ასპარეზზე, მას უნდა ჰქონდეს შეგნებული რისთვის გამოდის ის ბრძოლის ველზე და რას იცავს იგი.

ამით განსხვავდება ჩვენი სახალხო გვარდია მუდმივ ჯარისაგან. იქ არის ერთნაირი იძულებითი გამოყვანა ჯარისკაცთა და შემდეგ როცა ისინი მოექცევიან აქ, ჩვენს ყაზარმებში, ვცდილობთ, რომ მათ ვასწავლოთ და ვაუწყოთ, რისთვის არიან ისინი აქ და რა უნდა დაიცვან მათ, მაშინ, როდესაც თვითეულმა გვარდიელმა წინდაწინვე იცის თავისი დანიშნულება და საქმე. ამიტომ თქვე-

ნი ყურადღება მინდა მივაქციო ამ ძირითად მომენტს, რომელმაც შექმნა ჩვენი გვარდია. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა აიძულებს ჩვენს მოწინავე დემოკრატიას იყოს არა მარტო პოლიტიკური, არამედ იარაღიც აისხას, ეს ჩვენი მდგომარეობა დაიცვას. ამიტომ თვითეულმა გვარდიელმა უნდა იცოდეს, რომ, რასაც აკეთებს ის, აკეთებს მართალ საქმეს. ამიტომ საჭიროა მას ჰქონდეს გათვალისწინებული დღევანდელი მომენტი

არ დავიწყებ შორიდან.

თქვენ იცით, თუ იმ დროს, როცა საქართველო იმყოფებოდა რუსეთის ფარგლებში, ჩვენი სოციალ დემოკრატები და საერთოდ სარევოლიუციო პარტიები რას ველტვოდით.

იცით, რომ ჩვენ გვინდოდა მთელი რუსეთის ხალხთან ერთად რუსეთის ახალ ნიადაგზე მოწყობა. ისიც იცით, რომ ეს არ მოხდა. ჩვენ ვიყავით იძულებული საკუთარი წყობილება მოგვეწყო. როგორ მოხდა ეს? არის ის ვინმეს ჯიუტობა თუ აქ მოქმედობს ისტორიული კანონი.

ამის მიზეზი ის არის, რომ როცა ჩვენს ხალხს და რუსის ხალხს მიეცათ საშუალება თავისით ეთქვა თავისი სურვილები. გაეყოთ თავისი გზები.

ამ დროს ჩვენმა ხალხმა ერთი სთქვა, რუსის ხალხმა კი მეორე.

გამოჩნდა რომ ათასი წლის ისტორიას ჩვენს ცხოვრებაში სხვა დაუწერია, რუსისაში კი სხვა. სანამ ჩვენ და რუსებს ერთი ბატონი გვყავდა და არ გვანებებდა ჩვენი სურვილები გაგვემხილა, ამ ტლანქ ძალას ორივე ვემორჩილებოდით. მას შემდეგ რაც ეს ტლანქი ძალა მოვიშორეთ და თავისუფლება მივიღეთ აქ გამოჩდა, რომ ჩვენ ვსთქვით სხვა,—მათ კიდევ სხვა. ჩვენ წინ აღიმართა ორი კულტურული გზა: ერთ გზაზე შესდგა რუსის ხალხი, მეორეზე—ჩვენ. ეს ორი გზა არ შეერთებულა, არამედ მიდის პარალელურათ—ერთი-ერთი მხრით მიდის მეორე—მეორეთი.

ეს რა გზებია და რამ წარმოშვა ისინი?

ჩვენ მარქსისტებმა ვიცით კარგათ, რომ საკუთრების ფორმაა ის საფუძველი, რომელზედაც შენდება პოლიტიკური, იურიდიული და საერთოდ კულტურული მდგომარეობა ხალხის. ამ საკუთრების ფორმით გარდაქმნასთან ერთად გარდაიქმნება ყოველივე ისიც, რაც მაზე არის დამყარებული.

თანამედროვე ცხოვრება თქვენ იცით, რომ აგებულია კერძო საკუთრებაზე. ეს საკუთრების ფორმა გაბატონებულია ევროპაშიაც და ჩვეაშიაც. ეს ფორმა ქმნის საფუძველს, რომელზედაც ჯგუფი, კლასი თუ პიროვნება ვითარდება თვითმოქმედების ნიადაგზე. აქ არის სრული და მძლავრი სულიერი და ნივთიერი დიფერენციაცია. აქ თვითეული პიროვნება წარმოადგენს ერთ პოლიტიკურ მთლიან ინდივიდუმს, რომელსაც აქვს საკუთარი აზრი, შეხედულება, საკუთარი ინტერესები..

როდესაც ასეთი ინდივიდუმები ერთდებიან, ისინი ქმნიან კლასს, რომელიც ძლიერია, როგორც იდეებით, ისე მოქმედებით. ასეთია მთავარი დახასიათება დღევანდელი ევროპის..

ავიღოთ ეხლა მეორე მხარე: ავიღოთ ხალხი უფრო ჩამორჩენილი, სადაც არ არის გაძლიერებული თანამედროვე ევროპიული წარმოება და საკუთრების ფორმა, ხალხი პრიმიტიულ მდგომარეობაში. აქ პიროვნება, ჯგუფი, კლასი არ არის განვითარებული; მასში არ არის ჩამოყალიბებული პოლიტიკური და კულტურული იდეები. აქ ნაკლებია დიფერენციაცია: აქ ერთი პიროვნება გავს მეორეს, ერთი სოფელი—მეორეს, ერთი ჯგუფი მეორეს. აი აქ ცხადია, რომ მეორე ხალხის კულტურული გზა არ იქნება იმის მზგავსი, რომელი გზაც არის და ეკუთვნის პირველ ხალხს. ეს ორი საზოგადოება სხვა და სხვაა, და ამიტომ მიდიან თვითეული თავის საკუთარი გზით. ამ თვალით თუ შევხედავთ რუსეთს, დიდ რუსეთს, რომელიც ბატონობდა და ბატონობს რუსეთში, და საქართველოს, დავინახავთ, რომ ამ ორ ხალხს შორის დიდი განსხვავებაა. თქვენ იცით, რომ ამ დიდ რუსეთში იყო და თითქმის ეხლაც არის თემური მიწათმფლობელობა. მართალია ამ მიწათმფლობელობას ერთნაირი ბრძოლა გამოუცხადა სტოლიპინმა, მაგრამ ეს ბრძოლა არ იქნა დამთავრებული და არც შეიძლებოდა ასეთ მფლობელობაზე აგებული ფსიქოლოგიის ერთი კალმის მოსმით მოსპობა. აი, ეს თემური მიწათმფლობელობა, რომელიც იყო მთელს ევროპაში, ჩვენშიც, და რომელიც მოისპო, ფაქტია დღევანდელ რუსეთშიაც. მაშასადამე, ის ძირითადი დებულება, რომელიც ახდენს დიფერენციაციას—განსხვავებას ჯგუფსა, კლასსა და პიროვნებას შორის, რასაც ვხედავთ ევროპაში, ეს ძირითადი მიდრეკილება იყო სუსტი რუსეთში, ვინაიდან აქ იყო თემური მიწათმფლობელობა.

ამ მხრივ, უნდა ვსთქვა, რომ რუსეთის ნივთიერი ყოფა-ცხოვრება ევროპასთან შედარებით იყო და არის ჩამორჩენილი და ამიტომ მისი იდეური თუ პოლიტიკური მსვლელობა იყო და არის ჩამორჩენილი. მხოლოდ ამ თემურ ურთიერთობით აიხსნება ის, რომ ეს უზარმაზარი წყობილება, რომელიც დიდი ხანია მოისპო ყველგან, ასე გასინჯეთ ჩინეთშიც კი, ეს წყობილება—მათრახებზე აგებული, აგერ 1917 წლამდი იყო და ბატონობდა. აი სწორეთ ეს თემური—მიწათმფლობელობა ქმნის იმას, რომ ერთი პიროვნება ნთქავს მეორეს, ერთი სოფელი მეორეს, ერთი ჯგუფი მეორეს და სხვ. აქ ერთი მარჯვე კაცი დაიმორჩილებს მთელ ხალხს, ერთი დიდი ბატონი იყო მთელი ხალხის მეფე. აქ არ იყო ხალხის თვითმოქმედება; აქ არ იყო საკუთარი აზრი და სურვილი თავის საკუთარი ძალით ცხოვრების მოწყობისა.

ასეთი კულტურული მდგომარეობა ქმნიდა იმას, რომ რუსეთში, დიდ რუსეთში იყო შექმნილი ასეთი ურთიერთობა. პატარა რუსეთში, ყუბანში, ყაზახებში შექმნილია სულ სხვანაირი ურთიერთობა. ასეთმა მდგომარეობამ შექმნა ის, რომ რუსეთში არ შესდგა ნიადაგი დემოკრატიული მმართველობისა. დემოკრატიული მმართველობა ნიშნავს ხალხის უმრავლესობის მიერ თავის სურვილების გამოთქმას ესე იგი თვითელ კლასს, ჯგუფს, პიროვნებას უნდა ჰქონდეს უფლება სთქვას: თუ ეს ასე არ იქნება მე არა ვარ ამის მომხრეო.

მაგრამ ასეთი ლტოლვილებისათვის საჭიროა, რომ თვით ხალხი იყოს სხვა მდგომარეობაში და ჰქონდეს ის ძირითადი ელემენტები, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური ვითარება, რომლებსაც ვხედავთ მოწინავე ხალხში, და რომელზედაც აგებულია ეს დემოკრატიული წყობილება. აქ იყო პირ-იქით: აქ ერთი კაცი უბრძანებდა, ერთი კაცი ბატონობდა, ერთი მეფე სუფევდა და მთელი ხალხიც მას მორჩილებდა.

მართალია რევოლიუციამ შეარყია ეს მდგომარეობა, მაგრამ თქვენ იცით, რომ ასეთი სულიერი და ნივთიერი მდგომარეობა 1, 2, 3 წელში ვერ მოისპობა.

რევოლიუცია გახდა ერთნაირი დემოკრატიული იდეების მატარებელი, მაგრამ ამ დემოკრატიული იდეების მატარებელი იყო არა მთელი ხალხი, არმაედ მოწინავე ინტელიგენცია. როცა ჩვენ 1917 წლის ენკენისთვეში ქ. პეტროგრადში ე. წ. დემოკრატიულ თათბირზე მოვითხოვეთ, რომ რუსეთში შემდგარიყო დემოკრატიული მთავრობა და კავშირი გაეწყვიტა ბურჟუაზიასთან, გვიპასუხეს:—რუსეთში არ არის დემოკრატიაო,—არ არის ისეთი დემოკრატია, რომელსაც შეეძლოს აიღოს ხელში სადავე და მოაწყოს სახელმწიფო. რადგანაც ეს არ არის, ამბობდენ ჩვენი ამხანაგები, ამიტომ საჭიროა შეუკავშირდეთ მოწინავე ბურჟუაზიას და მათი საშუალებით დავამკვიდროთ დემოკრატიული წყობილებაო.

ამას გვეუბნებოდენ არა მარტო რუსები, არამედ აქაური ჩვენი ამხანაგებიც, რომელნიც იქ მუშაობდენ. ეს ერთი აშკარა იყო, რომ ჩვენ—აქაურმა დელეგატებმა ვსთქვით, თუ არ არის დემოკრატია ბურჟუაზიას მაინც მოშორდება რუსეთი და სხვას დაემორჩილება; ჩვენ ვსთქვით, რომ ეს გათავდება ბოლშევიკების გამარჯვებით. ეს მოხდა სწორეთ ერთი თვის შემდეგ. ბოლშევიკებმა იცოდენ ეს, ისინი მიხვდენ, რომ რუსეთში არ არის დემოკრატია, რომ რუსეთის ხალხს არ შეუძლია მოაწყოს თავისთვის ბატონობა, რომ მიუშვათ მის ჭკუაზე და მის ნებაზე. ამიტომ სთქვეს: რადგან ეს მას არ შეუძლია, მაღლიდან მოვახვიოთ თავზე ჩვენი იდეები და წყობილებაო. ამას მიხვდენ ბოლშევიკები და უნდა ვსთქვათ, რომ ამ აზრის იყო ძველი წყობილების ყველა რეაქციონერი. არის ერთი წიგნი—პობედონოსცევის, რომელიც იყო სინოდის მეთაური. ის ამ წიგნში ამბობს: ჩვენმა ინტელიგენციამ არ იცის, თუ რა არის რუსის ხალხი; თუ რუსის ხალხმა აიწყვიტა, ყველაფერს დაანგრევს, მაგრამ ვერაფერს ვერ შექმნის და ჩვენ იგი გვყავს დაბმულიო.

ბოლშევიკები მიხვდენ, რომ ეს ხალხი ჩამორჩენილი და განუვითარებელია, ცხადია იმავე, ბიუროკრატიზმის წყალობით. მიხვდენ, რომ ერთი წლის განმავლობაში, თავის თავად ცხადია, იგი ვერ გამოიცვლიდა თავის ჩვეულებას ფსიქოლოგიას და თუ მიუშვი თავის ნებაზე, ისევ მივა ნიკოლოზთან. მაგრამ მათი დანაშაული ის არის, რომ მათ არ მოინდომეს, რომ ეს ხალხი გამხდარიყო პოლიტიკურ—დემოკრატიად. ეს პრინციპი-პრინციპი რეაქციონერთა—მიიღეს თავისად—არ არის დემოკრატია და არც უნდა იყოსო.

აი მათი დანაშაული ესაა და არა ის, რომ მათ გაიგეს საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

ახლა მოუბრუნდეთ ჩვენსას—საქართველოს ხალხს; თქვენ აქ იცით, რომ საკუთრების ფორმა არის კერძო საკუთრება; იცით, რომ ჩვენში არ არის თემური მიწათ-მფლობელობა და ამიტომ არც შეიძლება იყოს მასზედ აგებული პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა.

ვიცით, რომ ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს, ჩვენი ხალხი მიეჩვია—ზოგი ლეგალურად, ზოგი არა ლეგალურად, მოეწყო ორგანიზაციები და კულტურული ცენტრები.

მახსოვს მე, ეს იყო 25 წლის წინეთ, რომ ხალხი თავისი სურვილით ხსნიდა სამკითხველოებს, სკოლებს. მახსოვს მე-ეხთხელ ჩემს სოფელში რუსის მოწინავე ინტელიგენტი ჩამოვიდა და რესაც გაიგო, რომ აქ იყო გზები, სკოლები, სამკითხველო, ხოლო არ იყო ერობა, ძლიერ გაუკვირდა და სთქვა: ჩვენში ერობა რომ არ იყოს არც ერთი ეს არ იქნებოდაო. მაშასადამე აქ, ჩვენში, კერძო საკუთრების ნიადაგმა ეს ენერგია, ეს ინტერესი, ეს თვით მოქმედება გაუძლიერა, როგორც თვითეულ პიროვნებას, ისე მთელს ხალხს.

აგრეთვე თქვენ გახსოვთ, როცა აქ იყო პოლიტიკური არჩევნები, მიუხედავათ ბევრნაირ მუხრუჭებისა და სასტიკ ზომებისა, ხალხი ბევრს რამეს იტყოდა მთავრობის წინაალმდეგ და ის ირჩევდა მუდამ ოპოზიციას—სოციალისტების კანდიდატებს.

ამნაირად ჩვენში მომზადდა ნიადაგი დემოკრატიზმთან ან ხალხის მიერ თავისი თავის ბატონობის და მართვა გამგეობის.

ამნაირად იქ—დიდ რუსეთში ხალხი შეიქნა ერთნაირი ობიექტი—საგანი დესპოტიზმის და დიქტატურისა.

იქ წინათ იყო დიქტატურა ნიკოლოზისა, შემდეგ ლენინისა, ეხლა აპირობს დენიკინი, კოლჩაკი და ყველა, ყველა ეს პირები სდგანან ერთს ნიადაგზე—ყველანი უარს ყოფენ დემოკრატიზმს.

უარს ყოფენ იმიტომ, რომ ისინი ხედავენ: ამ დიდი რუსეთის ხალხს არ შეუძლია, რომ ის იყოს თავისი თავის ბატონი და მხოლოდ დანაშაული მათი ეს არის, რომ არ სურსთ ეს ხალხი ამ დგომარეობიდან გამოიყვანონ და მიაჩვიონ თავისი თავის ბატონობას—გახადონ პოლიტიკურ დემოკრატიად.

ამ სურვილებში ისინი შეერთებული არიან და ამიტომ არის, რომ ასე ვებრძვით ბოლშევიკებს და ვამბობთ ისინი არ არიან სოციალისტები.

აი ასეთია ორი გზა ჩვენი და რუსეთის: ორი პოლიტიკური და კულტურული გზა—ერთი გზა არის გზა ანტიდემოკრატიული და მეორე გზა არის გზა დემოკრატიული.

ამით რასაკვირველია, მე არ ვამბობ, რომ რუსეთის ხალხი მუდამ ჩარჩება ასეთ მდგომარეობაში. წარსულში ბევრი ხალხი ყოფილა ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ ის ამ განსაცდელიდან გამოსულა.

აი როცა რუსეთის ხალხი ამ მდგომარეობიდან გამოვა და ის სულ ისეთივე დემოკრატიული წყობილებით და სურვილებით იქნება გამსჭვალული, როგორც ჩვენ, ცხადია ჩვენს და მათ შორის გაიბმება ახლო ძაფები და ჩვენ შორის არავითარი რთული კითხვები აღარ იქნება და ხელის-ხელს ჩაკიდებული გავუდგებით საერთო გზას.

როდის მოხდება ეს?—ამის თქმა ძნელია.

საფრანგეთის დემოკრატიული წყობილება დასამარდა კონვენტით.

განვლო 80 წელი და 1873 წ. დემოკრატიამ საბოლოოთ გაიმარჯვა, მხოლოდ უარჰყო მონარქიზმი და განამტკიცა რესპუბლიკანური წყობილება. მაშასადამე არც ისე ადვილი საქმეა, რომ ხალხი შეიქმნეს პოლიტიკური დემოკრატიად—დაამყაროს დემოკრატიული წყობილება.

მე არ ვამბობ, რომ რუსის ხალხსაც ამდენი დრო დასჭირდება—აქ უფრო სწრაფად, უფრო ჩქარა იწარმოებს ეს პროცესი, მაგრამ ეს ახლო მომავლის საქმე მაინც არ არის.

და ვინაიდან ამ დემოკრატიული სულის კვეთების და პოლიტიკური დემოკრატიის დამყარება არ მოხდეს ახალო მომავალში—ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენთვის დამოუკიდებლათ.

აი ამისთვის არის მოწოდებული სახალხო გვარდია, რომელიც ამ საქმეს უდგა გუშაგი და დარაჯათ (ძლიერი ტაში).

აქედან თქვენ დაინახეთ, რომ აქტი 26 მაისისა—ეს არის დიდი ისტორიული აქტი აღმოცენებული არა შემთხვევით, არამედ დიდ ისტორიულ აუცილებლობის ფაქტზე.

თუ გვინდა, რომ ჩვენში იყოს დემოკრატიის ბატონობა—დემოკრატიზმი და არა დიქტატურა, მაშინ ჩვენ იძულებული ვართ ჩვენი საკუთარი საშუალებით შევქმნათ და ვაშენოთ დემოკრატიის ბატონობა. აქედან თქვენ ხედავთ, რომ გვარდიის მოწოდება, მისი საბუთები—იდეური და პოლიტიკური, საბუთები თავის მოქმედების გასამართლებლათ მეტათ დიდი და ძლავრია. უნდა იყოს გვარდია დარწმუნებული, რომ თუ იგი იცავს საქართველოს, იგი იცავს იმავე დროს თავის თავს, საქართველოს მუშების და გლეხების ბატონობას. მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან: ღირს განა ამდენი დავიდარაბა ამისთვის? რა გააკეთეთ? თქვენი საქმეები რა საქმებიაო...

რა გავაკეთეთ?—ნამდვილი დიქტატურა მუშებისა და გლეხების არის აქ—ჩვენში. მაგრამ ეს დიქტატურა არის მოპოვებული არა დიქტატურული გზით, არამედ გზით დემოკრატიულით. არავინ არ იფიქროს, რომ რუსეთში იყოს ნამდვილი დიქტატურა მუშების და გლეხების.

რომ ეს ასე იყოს, მაშინ მუშებს და გლეხებს მიემხრობოდა უმრავლესობა მათ—ბოლშევიკების წყობილებას.

თუ ეს ასეა, მაშინ რატომ შეეშინდათ, რომ ხალხისთვის მიეცათ უფლება თავისი სურვილი გამოეთქვა. ალბათ იმიტომ, რომ მაშინ გამოჩდებოდა, რომ ეს ხალხი არ მიემხრობოდა მთავრობას.

იქ არის დიქტატურა ჯგუფისა, შეიარაღებული ჯგუფისა, ის მოვლინებულია შეიარაღებული ძალით მაღლიდან და ისინი ბატონობენ როგორც მუშებზე, ისე გლეხებზე და არ ანებებენ მათ გამოსთქვან თავისი აზრი, ვინაიდან იციან, რომ ეს აზრი არ იქნება მათ სასარგებლოთ. აქ ჩვენში სრულიად თავისუფალია. დემოკრატიული გზით მუშებმა და გლეხებმა შეადგინეს თავისი მთავრობა. ასეთი მთავრობა ჩვენ რომ არ შეგვედგინა და მოვქცეულიყავით ისე, როგორც რუსეთში, ესე იგი დავყრდნობოდით მაღლით შეიარაღებულ ძალას, მაშინ აქაც გაღვივდებოდა სამოქალაქო ომი.

აი, ახლა როცა აქ შესდგა ნამდვილი მმართველობა და მთავრობა ამ მუშებისა და გლეხებისა დემოკრატიული გზით და სრულიად ერთსულოვანად, მის წინაშე შავი რეაქცია იძულებულია ქედი მოიხაროს და დაემორჩილოს მას. აქ არ არის სამოქალაქო ომი და არც შეიძლება იყვეს იქ, სადაც არის დემოკრატია. სამოქალაქო ომი არის იქ, სადაც ბატონობს დიქტატურა და დესპოტია.

ჩვენ ეს გავაკეთეთ: ერთ და იმავე დროს დავიცავით დემოკრატიული წესწყობილება და შევქენით მთავრობა მუშების და გლეხების ინტერესების გამომხატველი მართველობა.

აი ამიტომ იყო ჩვენში შესაძლებელი, რომ უსისხლოთ და უომრად მომხდარიყო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის რეფორმა, ასეთი რეფორმა როგორც არის აგრარული რეფორმა, ეს აგრარული რეფორმა არის უდიდესი რეფორმა იმიტომ, რომ ასე ფართედ რადიკალურად მიწის საკითხი წმინდა დემოკრატიული გზით, არც ერთს რევოლიუციას

ევროპაში არ გადაუწყვეტია. ეს მოხდა ჩვენში. ამ წნსებზე, ამ დემოკრატიული გზით მართველობის და მთავრობის შედგენა ჩვენ მოგვცა ის რომ არა მარტო მიწის მფლობელი, არამედ კაპიტალისტიც იძულებულია თავი მოიხაროს ამ ფაქტის წინაშე და დაემორჩილოს სოციალურ რეფორმას, ჩვენში სოციალურ რეფორმის წარმოება არ არის ადვილი; არ არის ადვილი იმიტომ, რომ ჩვენში, როგორც იცით თქვენ, მრეწველობა და კაპიტალისტური წარმოება არ არის განვითარებული, მაშასადამე, საწარმოვო ძალები არ არის განვითარებული იმდენად, რომ მან აიტანოს ყოველ გვარი რეფორმები აი, აქ საჭიროა მოხდეს შეერთება, მოხდეს კომბინაცია ისეთი, რომ სოციალური რეფორმა ეთანხმებოდეს საწარმოვო ძალთა განვითარებას და პირ-იქით ჩვენი საწარმოვო ძალთა განვითარება უნდა ეთანხმებოდეს მუშათა ინტერესების დაცვას.

აი სწორედ ჩვენში დღევანდელი სოციალური რეფორმა ამ ფარგლებში ტრიალობს და ჩვენ ვცდილობთ ამოვწუროთ ის შესაძლებლობა, რასაც კი იძლევა ჩვენი ნივთიერი ყოფა-ცხოვრება.

აქ, ვამბობ მე, ინტერესი მუშათა კლასის და საწარმოვო ძალთა განვითარების ერთნაირია. მაგრამ ერთნაირი არ არის ინტერესი საწარმოვო ძალთა განვითარების და კაპიტალისა. თუ კაპიტალისტი იღებს ბევრ შემოსავალს, ის არ სწუხს ეს ძალები იქნება განვითარებული თუ არა.

პირ-იქით მისი ინტერესი მოითხოვს, რომ ეს ძალები არ განვითარდეს. ამიტომ მე ვამბობ, რომ აი აქ, ჩვენში წინ უნდა იყოს დაყენებული სოციალური რეფორმის გატარების დროს ინტერესი არა კაპიტალისტისა, არამედ საწარმოვო ძალთა განვითარებისა და მუშათა კლასის. აქით არის დღეს მიმართული ჩვენი სოციალური რეფორმები.

უნდა ვსთქვა, რომ რაც საქართველოში ამ მხრივ დღეს ვაკეთებთ, ამის მსგავს ვერ ვხედავთ სხვაგან, რომ იქიდან გადმოვიღოთ მაგალითი ან იმათ წავბაძოთ. ეს იმიტომ, რომ არც ერთ უცხო სახელმწიფოში არ არის დღეს მუშათა პარტიის ბატონობა.

თვით გერმანიის მუშათა პარტიას არა ჰყავს დღეს უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში და ის იძულებულია შევიდეს ბლოკში სხვა პარტიებთან და ამნაირად კომპრომისული პოლიტიკა აწარმოვოს.

ამიტომ ჩვენ ვართ იძულებული საკუთარი გზით ვიაროთ და ვაშენოთ სახელმწიფო, სადაც სოციალური რეფორმები უნდა იყოს მიმართული საწარმოვო ძალთა განვითარებისაკენ.

ჩვენ შეგვიძლია დღეს შევიდეთ დამფუძნებელ კრებაში და გამოვაცხადოთ აქ სოციალიზმი. ეს ჩვენ პოლიტიკურად ყოველთვის შეგვიძლია, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ეს ეკონომიურად. და ვინაიდან ეკონომია არის საფუძველი დანარჩენი მხარეებისა, ამიტომ ჩვენ ვდგევართ ეკონომიურ რეფორმის გზაზე, მაგრამ არ შეგვიძლია იმიტომ, რომ როცა ირგვლივ და მთელს ევროპაში ბატონობს კაპიტალისტური წყობილება; როცა აქ ბაზარი კაპიტალისტების ხელშია, როცა აქ მეფობს საერთო კონკურენცია, ერთ ხალხს არ შეუძლია ამ კონკურენციას თავი დააღწიოს და შიგნით სოციალური წყობილება დაამყაროს. რუსეთში არ არის სოციალიზმი, ეს თავის მოტყუებაა. არავის სოციალური წყობილების დამყარება არ შეუძლია თუ იგი არ არის ევროპაში. როცა რევოლიუცია იფეთქებს მთელს ევროპაში, ბაზარი იქნება მათ ხელში მაშინ შეიძლება ხალხების აყვავება. ამიტომ მარქსი ენგელსი ამბობდენ, რომ სოციალური რევოლიუცია არის საერთაშორისო, ის არ შეიძლება იყოს ნაციონალური, ის უნდა მოხდეს მოწინავე ქვეყნებში, რომ ჩამორჩენილმა ქვეყნებმა ამით ისარგებლონ.

თქვენ იცით, რომ 60-იან წლებში რუსეთის რევოლუციონერთა შორის იყო გაბატონებული ერთი აზრი: ვინაიდან რუსეთში არის სათემო მიწათ-მფლობელობა, რუსეთს შეუძლია არ გაიაროს კაპიტალისტური ხანა და გადავიდეს ამ პრიმიტიულ მდგომარეობიდან სოციალიზმში. ამ აზრის განხორციელება თავს იდვეს ბოლშევიკებმა.

მაგრამ ეს აზრი, რასაკვირველია მერე უარყვეს; რუსეთის ნაროდნიკებმა ჰკითხეს მარქსს: შეიძლება თუ არა ასე მოხდეს რუსეთში. მან უპასუხა: ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ევროპაში იფეთქებს სოციალური რევოლიუცია, თუ მთელს ევროპაში გაიმარჯვებს სოციალიზმი და, ამას აყვება რუსეთი. ეს აზრი, რომ სოციალურ რევოლიუცია მოხდება ჯერ მოწინავე ქვეყნებში, მერე ჩამორჩენილში, არის მუდმივი აზრი ყველასი ჩვენი მოძღვარ მარქსიდან დაწყებული. აქედან ცხადია, ჩვენ რომ დამფუძნებელ კრებაზე გამოვაცხადოთ სოციალიზმი, ეს იქნება ერთნაირი ბუტაფორია, ერთნაირი დეკლამაცია, ტრაბახი, საქმეს დაგვიშლის და არაფერს გააკეთებს.

ამით ჩვენ ვამბობთ: სანამ აქ მართვა-გამგეობა იქნება მუშათა და გლეხთა წარმომადგენლების ხელში, მანამ ჩვენი პოლიტიკის მიზანი იქნება, რომ ჩვენი პროგრამა მინიმუმი განვახორციელოთ ე. ი. პოლიტიკური და სოციალური რეფორმების განვითარებით თანდათან მივიდეთ ამ საბოლოო გზასთან—სოციალიზმის განხორციელებასთან; აქ ვიყოთ მზად. თუ ევროპაში სოციალურმა რევოლიუციამ იფეთქა, ჩვენ უომრად, უჩხუბრად შეგვეძლოს ამ სოციალური რევოლიუციის აქ მოხდენა და ევროპის ერებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული სიარული. და რომ ეს ასე უნდა მოხდეს—ეს უეჭველია ევროპას თუ უნდა ცხოვრება, ის უნდა დაადგეს სოციალიზმის გზას. მას არ ძალუძს სოციალურ ნიადაგზე გადაიტანოს საჭირბოროტო საკითხები. ომის მიერ მოშლილი ეკონომიური კალაპოტის აღდგენა მხოლოდ სოციალური საშუალებებით შეიძლება. ამ მხრით ევროპა მიექანება. ამ დროს ჩვენ ვიქნებით პოლიტიკურად მზად და ასეთი მომენტით ვისარგებლებთ და ეს პატარა ხალხი—ეკონომიურად ჩამორჩენილი აჰყვება მოწინავე ერებს და მათთან ერთად შევა სოციალიზმის სამეფოში.

აი ასეთია ჩვენი დღევანდელი მოქმედება ჩვენი დღევანდელი ტაქტიკა.

გვარდია არის მოწოდებული ეს მოქმედება ეს ტაქტიკა დაიცვას.

თუ ჩვენ წაგვერთმევა თავისუფლება, თუ აქ შემოიჭრება დესპოტი და დიქტატორი, თუ ჩვენ მოგვესპობა მოქმედების საშუალება, ცხადია, რომ სოციალური რევოლიუცია, სოციალური მიზანი იქნება დიდხან დამარხული, ჩვენ ვიქნებით გამოთიშული იმ სოფლიო რევოლიუციიდან, რომელიც უნდა მოხდეს ევროპაში.

ამიტომ თვითეული გვარდიელი, მათი მთავარი შტაბი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ის აკეთებს მართალ საქმეს და ამაში მას ეჭვი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენი დემოკრატიული რეფორმები მიმართულია იქითკენ, რომ ჩვენი ხალხი არ ასცდეს პოლიტიკურ დემოკრატიის გზას. ჩვენი მიზანია ის მუდამ იყოს თავისი ბედის შეგნებულად მმართველი. ეს უნდა მოხდეს არა პროპაგანდით, არამედ პრაქტიკულად. უნდა შევქნათ ჩვენ ისეთი პირობები მმართველობისა, რომელნიც გაწვრთვნიან ხალხს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს წვრილ და თფილ გრძნობებს. უკანასკნელის საშუალებით ხალხი თავისი ჭკუით იკაფავს გზას.

ამნაირათ, ჩვენი ძირითადი მომენტი, რომელზედაც აგებულია სხვა მომენტები ხასიათდება იმით, რომ საქართველოს დემოკრატია და მასში სახალხო გვარდია დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას, რომ ამით მან დაიცვას პოლიტიკური და სოციალური თავისუფლება. ის, როცა სისხლს ღვრის აქაიქ ფრონტზე, უნდა იცოდეს, რომ ეს სისხლი წმინდა სისხლია. საჭიროა სისხლის ღვრა არა მარტო იქ, არამედ აქ შიგნითაც.

ვინც მოინდომებს ამ ჩვენი ისტორიული გზის, ამ დემოკრატიის მიერ შექმნილ წყობილების დამხობას, მის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიმართული გვარდიის ხმალი. ვინ მოინდომებს ამას?... ამას მოინდომებენ რეაქციონნები მარჯვნივ, ანარქისტები მარცხნივ.

ეს იქნება ჯგუფი, ეს იქნება უმცირესობა, ვინც უმრავლესობის წინააღმდეგ ამოიღებს ხმალს, იმას ხმალს უკანვე ჩავაგებინებთ. არაა ადვილი დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება, პოლიტიკური დემოკრატიის შექმნა. არ ყოფილა ჯერ მაგალითი ისტორიაში, რომ რევოლიუციის პირიდან გამოსულიყოს დემოკრატია.

საფრანგეთში იყო რევოლიუცია—ბატონობა იაკობინელთა, ეს ბატონობა იყო ისეთ, როგორიცაა ბოლშევიკების ბატონობა, ეს იყო მათი დიქტატურა და ჩვენ ვამბობთ, რომ ამ რევოლიუციის შემდეგ მივიღეთ რეაქცია—იმპერატორი ნაპოლეონი, შემდეგ მეფე ლიუდოვიკი, მერე კაროლი, მერე რევოლიუცია, მერე მეფე ლუი ფილიპე, რევოლიუცია, რესპუბლიკა მეორე, იმპერია, კიდევ რევოლიუცია და მხოლოდ 1873 წლიდან დამკვიდრდა დემოკრატიული რესპუბლიკა. არც ერთ რევოლიუციიდან, ინგლისის რევოლიუციიდანაც კი არ გამოსულა პოლიტიკური დემოკრატია, რადგანაც ძველი რეჟიმი არ აძლევდა ხალხს ნებას თავისუფლათ ეაზროვნა და ამიტომ ხალხი არაა მიჩვეული თვითმოქმედებას. ამიტომ ჩვენ ვახდენთ ერთგვარ ექსპერიმენტებს, რომ რევოლიუციის შემდეგ შეიქმნეს მუდმივი, მკვიდრი დემოკრატიული წყობილება და ამ წყობილებაში—დემოკრატიის ბატონობა.

ასეთი ისტორიული ამბის მოწმეთ ვართ, ამის მომქმედნი ვართ, ამას ვქმნით და ეჭვი არ უნდა ჰქონდეს არც ერთს გვარდიელს, რომ ის ქმნის დიდს ისტორიულ მაგალითს, ისტორიულს საქმეს.

მე ვათავებ. ბოლოს უნდა გითხრათ, რომ თვითეული კლასი, თვითეული ხალხი იბრძვის თავის ინტერესებისათვის. ამ ბრძოლას მაშინ აქვს ნაყოფი, როცა ის იღებს შესაფერ ფორმას, როცა ის მიდის სწორი გზით. თუ ის არ მიდის სწორი გზით, თუ ის არ იღებს შესაფერ ფორმას, ის მალე განადგურდება.

ჩვენი დემოკრატია მოძრაობს აქ სწორი გზით, სწორი ფორმით. რომ ეს სწორი გზა, სწორი ფორმაა, ამას გვიმტკიცებს ის, რომ მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებათა, ჩვენ დღემდის მოვედით გამარჯვებული და ამ სახლში იკრიფებოდა ჩვენი საუკეთესო დემოკრატია და ვიკრიბებით დღესაც.

ეს არის გვარდიის მთავარი დანიშნულება, რომ მან ჩვენი ხალხი დაიფაროს იარაღით ხელში, ხოლო ჩვენ უიარაღონი დავეხმაროთ პოლიტიკურად, რომ ის არ გადასცილდეს ამ სწორ გზას, არ ჩავარდეს უბსკრულში არც მარჯვნივ არც მარცხნივ, ამ სწორ ხაზის დასაცავათ მოგიწოდებთ თქვენ აქ და თქვენთან ერთად მთელ გვარდიას (მხურვალე ტაში, ოვაციები).

მილიციაში

11 სექტემბერს სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა არჩილ სულხანაშვილი, რომელსაც ახალგორის რაიონის, დუშეთ. მაზ., კომისართან სოხატ სარჯველაძესთან ერთად მოუპარავს ცხენი და ორი კამეჩი და გაუყიდიათ ავლაბარში.

12 სექტემბერს სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ნიკოლოზ ტერ-ბარტუგიმევოსიანცი, რომელსაც ტროფიმ თავართქილაძის ბინიდან მოუპარავს სახლის ავეჯეულობა.

განცხადებანი

ქუთაისის ოლქ. სასამ. სამოქ. განყ. სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ტერეზია იოსების ასულის კაშიასი. 1566 1—1

სტუდენტი ლეონიდე პოლიოს ძე კალანდაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა მოწმობა № 109 მიცემული ტფილისის პოლიტეხნიკუმიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1368 3—1

ხონის სამომრიგებლო უბნის მომრიგებელი მოსამართლე, ქუთაისის მაზრისა იწვევს დღეიდან ამა განცხადების დაბეჭდვისა ექვსი თვის ვადაში მემკვიდრეებს გადაცვალებულის მცხოვრების ქალაქ ხონში ქუთაისის მაზრისა პავლე იესეს-ძე ფარცხანაძისა გარდაცვლის შემდეგ დანარჩენი მამულზე და ქონებაზე. 1747 1—1

მიხეილ ალექსის ძე ადამია აცხადებს, რომ მან დაკარგა პირადობის მოწმობა აღებული მილიციის სამმართველოს კანცელარიიდან მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1372. 3—1

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად ბიქტორ ბეგლარის ძე ანჯაფარიძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს რევოლვერი „ბრაუნიგის" ტარების მოწმობა, მიცემული ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველოდან და მისი პირადობის მოწმობა, სთხოვს აღნიშნული საბუთების მნახველებს წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ. 1655 3—2

სიმონ იოსების ძე ჯიოევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული 1918 წ. 29 აპრილს ოსეთის ოლქის კომისარისგან მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1366 3—2

მელიტონ დავითის ძე თვალთვაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა პურის ბარათი № 273 სულ ექვსი სულის, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1342 3—2

დაკარგულია უვადო პასპორტი № 317, მიღებული თელავის ქ. თვითმმართველობიდან 1912 წ. თებერვლის 11-ს ივანე ალექსისძე ელაგოვის სახელზე. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1348 3—3

ალექსი გიორგის ძე ვარდიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1329 3—3

დაკარგულია უვადო პასპორტი № 539, მიღებული თელავის ქალაქ. თვითმმართველობიდან 1911 წ. მარტის 14-ს პეტროს ალექსისძე ელაგიანის (იგივე ელაგოვის) სახელზე რაიც გარქმებულათ უნდა ჩაითვალოს.
1347 3—3.

დაკარგულია აქტი № 2985, მიღებული ტფილ. სამხ. ჰოსპიტლის ექიმთა კომისიიდან 1918 წ. თებერვლის 19-ს ვლადიმერ მოროზოვის სახელზე. აქტი გაუქმებულათ ითვლება. 1350 3—3.

დაკარგულია რკინის გზის „ნაკლაონაია" № 105774, რომელიც გაუქმებულათ ითვლება.
ი. ა. ფრეიმანი 1371 3—2

ტფილისის სასამართლო პალატა ამით აუწყებს, რომ პალატის ასიგნობა 25 აგვისტოს 1919 წ. № 250-ით ცხრა ათას ორმოცდაათი მანეთის დაბრიკანტების და ქარხნების სასოგადოების სახელზე გამოწერილი, ტფილისის ხაზინაში, დაკარგულია და იგი ითვლება გაბათილებულათ.
1370 3--2

გევორქ არუთინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 346, მიღებული ტფილ. ვაჟთა მე-5 გიმნაზიის დირექტორისგან და და მოწმობა № 8989, მიღებული ტფილისის ქალაქ. მილიციის სამმართველოდან, საქართ. რესპ. საზღვრებში თავისუფლათ ცხოვრების შესახებ. მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს
1345 3—2

დაკარგულა მეტრიკული № 585 ლია პავლეს ასული ხუციშვილის სახელზე მიცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან, რაც გაუქმებულათ საითვალოს.
1344 3—2

დოკუმენტების დაკარგვა. შაბათ ღამეს, 13 სექტემბერს მატარებელში, ხარაგოულიდან ხაშურამდე, მოგვპარეს „სალდათის მეშოკი" წიგნებით, ტანისამოსთა და საცვლებით სავსე, რომელშიაც ქუთაისის ქართულ გიმნაზიის კურს დამთავრებულის შალვა ჰეჟინაძის ატესტატი და სხვა დოკუმენტებიც იყო. უმორჩილესად ვსთხოვთ თუ ვისმე ეს დოკუმენტები ხელთ ჩაუვარდება საჩქაროდ მოგვაწოდოს: ტფილისი, ერეკლეს აბანო. ჰეჟინაძეს.
1318 3—2

დაკარგულია უვადო პასპორტი № 5141, აღებული დერბენტის პოლიცმეისტერის კანცელარიიდან ალექსანდრა სიმონის ასული მაილოვას მიერ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უ) 3—2

ოლიმპიადა ნიკოლოზის ასული ლარიონოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1903 წ. ივნისის 10 ს, რეესტრი № 1442. 3—1

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მახარაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, № 958 დამტკიცებული 1918 წ. ივნისის 18, ტფ. ოლქ. სას. უფროსი ნოტარიუსის მიერ. 1365 3—1

ეკატერინე სოლომონის ასული გოცირიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა სახლის ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ნოტარიუს სტრახოვის მიერ. სიგელი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1369 3—1

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო, თანახმად ალექსანდრე ბაბუნაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი, მიცემული ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველოდან, სთხოვს მნახველებს აღნიშნული პასპორტისას წარმოადგინონ ჩემს სამმართველოში გადასაცემათ კუთვნილებისამებრ. 1745 3—1

პლატონ იოსების ძე ცანავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიც იყო: 1) 750 მ. 2) 25 მანეთ ობლიგაცია, 3. კავკასიის ბანკის საწევრო ბარათი, 4) უვადო პასპორტი, მიღებული ზუგდ. მაზრ. უფრ. კანცელარიიდან, 5. პირობა, პლატონ ცანავას და ნატალია პეტროსიანის ხელმოწერილი დუქნის დაქირავების შესახებ. მპოვნელს თხოვს დაუბრუნოს მხოლოდ საბუთები. მისამართი: ზუგდიდის ქ. გამგეობა. პლატონ ცანავას. 1746 3—1

გაუქმებულათ ჩაითვალოს დაკარგული პასპორტები, მიცემული ქვემოთ აღნიშნულ დაწესებულებებიდან.

1. გრანტ. ქრისტეფორის ძე ბაღათუროვის-შუშის სამაზრო სამმართვ. უფროსიდან 1914 წ. 2. მკრტიჩ სარქისის ძე უმანიანც ზაქათალსკის პოლიც. სამ, 1911 წ. № 156 3. სერგი ავეტიკის ძე აირბაბამიანის-ყარსის პოლიც. სამმარ. 1904 წ. 4. გაიკ მანუკის ძე მანუკიანცის-ყარსის პოლიც. სამ. 1909 წ. 5. აგასი გრიგოლის ძე ფილოსიანის-გუმბრის მდაბიო მოქ. სამმართ. 1909 წ. 6. აკოპ მკრტიჩის ძე რსტაკიანის-ყარსის პოლიც. სამ. 1914 წ. №35 7. აბელ მიკრტუმის ძე ტერ სააკიანის კოტოოვილუგის სოფ. სამ. ყაზახის მაზ. 1916 წ. № 28. 8. ხნკიანოს საააკის ძე ოგონესიანის-გუმბრ. მდაბ. მოქ. სამ. 1916 წ. 9. აირაპეტ არსენის ძე გაბრიელიანცის-ერევან მდ. მოქ. სამ. 1914 წ. № 82. 10. ოჰანეს ხაჩატურის ძე მუკალოვის ს. კარაბაბის, ერევ. გუბ. სოფ. სამ. 1918 წ. 11. არამ. იაგორის ძე ტატევოსოვის სომხ. კონს. ბათუმში 1919 წ. №4664. 12. კარპ. ნიკიტის ძე ჟახოვის-ყარს. პოლიც. სამარ. 1911 წ. №1893. 13. გრიგოლ გრიგოლის ძე გასპარიანის-ყარს. პოლიც. სამ. 1911 წ. № 752. 14. ბარტუგიმეოს ნაზარეტის ძე ტოროიანცის ყარს. პოლ. სამმართ. 1911 წ. № 167. 15. გრიგოლ კარაპეტის ძე სარვაზოვს ეკატერინოდარის მდ. მოქ. სამ. 1913 წ. 16. აკოპ გერასიმეს ძე ალანიანს—ტფილისში სომხ. საკონს. 1919 წ. № 106. 17. პეტროს ნერსესის ძე მანოსიანცის—სოფ. ტაზაკენდის, ერევ. მოედ. გუბ. სამ. 18. ჯანიკ არშაკის ასულს აბრამოვის—გუმბრის მდ. მოქ. სამართვ. 1917 წ., № 3105. 19. ეგია კარაპეტის ძე ოთარიანის—სოფ. დიდი სალის, როსტ. ოლქ., სამმართვ. 1915 წ. 20. ანა ავეტის ასულს ტარუმოვასი—მოსკოვის პოლიც. სამ. 1914 წ. 21. იასაბეკ პაპიკის ძე გაზარიანის—ს. ამამლის, ერევ. გუბერნ., სამართ. 1913 წ. 22. აზაკ გევორკის ძე აზატიანის—სოფ. ამამლის, ერევ. გუბ., სამართვ. 1917 წ. 23. კარაპეტ მკრტიჩის ძე ლამბარიანის—ს. ამამლის, ერევ. გუბ., სამართვ. 1914 წ. № 22335. 24. ამბარცუმ ალექსანდრეს ძე სარუხანიანის—ბაქოს ქალ. სამ. 1913 წ. № 2467 25. გრანტ ვართანის ძე პარტესპანიანის—ეკატერ. სომეხთა კომიტეტიდან 1919 წ. 26. ავეტის სარქისის ძე ვართანიანის—ყარსის პოლიც. სამ. 1912 წ. 27. ხაჩატურ არუთინის ძე ასტოიანის—ყარსის პოლიც. სამართ. 1914 წ. 28. აკოპ გრიგოლის ძე ასლიანის—გუმბრ. მდაბ. მოქ. სამმართვ. 1917 წ. 29. ალექსანდრე ავაკის ძე თარხანიანის—შუშის პოლიციის სამმართველოს 1914 წლ. 30 მელიკ ხაჩატურის ძე სუკიასინს სოფ. ხორომის, ერევ. გუბ. სამმართვ. 1919 წ. 31. მელიკონ კარაპეტის ძე ტერ-სარქისიანის—ყარსის პოლიციის სამ. 1913 წ. 32. არშაკ ოჰანესის ძე შავგარიანს, ახალბაიაზეთის, ერევნ. გუბ. სამმართვ. 1917 წ. 33. რაფაელ ოვაკიმის ძე აკოპიანის—ყარსის პოლიც. სამმართვ 1914 წ. 34 სტეფანე აირაპეტის-ძე საფარიანის—ორდუბათის ქალაქ. თვითმართველობიდან 1914 წ. № 128. 35. ვაგინაკ პეტროსის ძე მიხიანცის—ყარსის პოლიც. სამ. 1907 წ. 36. გევორქ პოლოსის ძე ავეტისიანის—ყარსის პოლიც. სამართვ. 1907 წ. 37. სედრაკ ტიგრანის ძე ისკენდარიანის—გუმბრის მდაბიო მოქალაქე სამართვ. 1910 წ. 38. გაიკ მარკარის ძე ოლემეციანის—ყარსის პოლიციის სამმართვ. 1912 წ. 39. გაიკ ნაგაპეტის ძე აზატიანის—გუმბ. სამაზ. სამმართვ. 1914 წ. 40. აკოპ ლევანის ძე ლომაზიანის—ტფ. პოლიც სამმართვ 1907 წ. 41. დავით ალექსანდრეს ძე ტერ დავიდოვის—შუშის სამაზ. სამართ. 1902 წელს.

42. ზურაბ მკრტიჩის ძე აბაჯიანს—ყარსის პოლიც. სამმართვ. 1902 წ. № 684. 43. მუშეგ ოანესის ძე ტერ-ვაგანიანის—პეტროგრადის მაზ. სამხ. უფროსიდან 1916 წ. № 2603. 44. არისტაკეს აგაბაბის ძე სარქისიანის—ტფილ. პოლიც. სამმართვ. 1907 წ. № 14611. 45. არმენაკ ავაკის ძე გლანცის—ბათუმ. სომხ. საკონსულო 1919 წ. 46. ამბარცუმ გევორქის ძე ტერ-ანანაკიანის—ყარსის პოლიც. სამმართ. 1911 წელს. 47. ილია ბორისის ძე მერიანიანს—ნახიჩევანის მდ. მოქალაქ. სამმართვ. 1909 წ 48. გევორქ ხაჩატურის ძე მინასიანის—ტფ. სომხეთის საკონს. 1919 წ. № 457. 49. პოღოს აკოპის ძე აშუგიანის—არდაგანის მდ. მოქ. სამმართ. 1912 წ. 50. გარეგინ პეტრეს ძე გეგავორიანის—ტარაპეზ. ბალის. სამმართ. 1910 წ. 51. სამსონ ავეტიკის ძე ჯანფოლადოვის—სოფ. მარტიროსის, ერევ. გუბ., სამ. 1917 წ. 52. აკოპ მელიქსეტის ძე აროშიანცის—ყარსის პოლიც. სამმართვ. 1907 წ. № 463. 53. ავეტიკ ოჰანესის ძე ბუდუმიანცის—გუმბრის მდ. მოქ. სამმართვ. 1916 წ. 54. სუმბათ ოჰანესის ძე ზადიკიანის—სოფ. გეშტიას, ალხალქალ მაზ. სამმართვ. 1909 წ. 55. ტიგრან ტოროსის ძე შაგინიანის—სოფ. კიზილჩახჩახის, ყარსის ოლქ, სამმართველ. 56. სურენ სტეფანეს ძე სურენიანის—ბათუმის გუბერნ. 1914 წ. 57. აკოპ ბახკულამის ძე შაგოლიანის—ტფ. პოლიც. სამმართ. 1907 წ. 58. ავეტიკ ოჰანეზის ძე ბარუჩიანის—ტფ. პოლიც. სამმართვ. 1915 წ. 59. სარქის ხაჩატურის ძე აკოპიანის—ყარს. პოლიც. სამმარ. 1845 წ. 60. სარქის გრიქორის ძე სტეფანიანის—შუშის მაზრ. სამ. 1913 წ. 61. გარეგინ კარაპეტის ძე ოსეპიანის—სოფ. დაგეტ ხაჩინის, ბორჩ. მაზ. სამმართ. 1917 წ. 62. მოვსეს ოვანესის ძე ერინჯაკიანის სოფ. აგრაკუნას, ერევ. გუბ. სამმართვ. 1916 წ. 63. სტეფანე არტემის ძე ხაჩიკიანის—ერევნის მდაბ. მოქ. სამმართვ. 1914 წ. 64. გრიგოლ ავიას ძე ფრანგულოვის—ნახიჩევანის მაზ. სამმართვ. 1910 წ. 65. კამსარ სერგის ძე ტერ-გალუსტიანის—ტფილისში სომხეთში საკონსულოდ. 1919 წ. № 226. 66. ლეონ მიხეილის ძე შალამიანის—სომხ. საკონს. ტფ. 1919 წ. № 258. 67. გევორქ არამის ძე ბაბახანიანის—სოფელ კამარლიუს, ერევ. გუბ. სამმართ. 1918 წ. 68. გევორქ კარაპეტის ძე მირაბიანის—ახალ ბაიაზეთის მდაბიო მოქ. სამმართვ. 1918 წ. 69. გაიკ სერაფიონის ძე კურკჩიანცის—პოლიც. სამმართველოდან 1913 წელს.

70. ბალუშ სუმბათის ძე პარვანიანის სოფ. აშტარაკის, ერევ გუბ., სამმართ. 1909 წ. № 216. 71. ილია ისაკის ძე მისაკიანის—არდაგანის ოლქ. სამმართვ. 1913 წ. 72. ხაჩატურ დავითის ძე დავიდიანის—სოფ. შიხმახმუდის, ერევ. გუბ., სამმართვ. 1904 წ. 73. დავით სტეფანეს ძე არუტიუნიანის—ნახიჩ. ნახიჩევანის მდაბ. მოქ. სამართველოდან 1909 წ № 10. 74. არამაის აირაპეტის ძე ვართანიანის—ერევნის მდაბ. მოქ. სამმართვ. 1910 წ. 75 ივანე ლაზარის ძე ალექსანდროვის—გუმბრ. მდაბიო მოქ. სამმართვ. 1910 წ. № 2460. 76, გრიგოლ სარქისის ძე ნაზარიანცის სოფ. ტუმბულის, ერევ. გუბ., სამმართვ. 1909 წ. 77. სოფიო ალექსანდრეს ასულის ტერ-გაბრიელიანცის—კიზლიარის მდ. მოქ. სამმართვ. 1910 წ. № 645. 78. სარქის ოვანესის ძე ბაგრაუხიანის—ერევნის მდ. მოქ. სამმართვ. 1916 წ. № 285. 79. ოჰანეს კარაპეტის ძე კაზარიან-ასლანიანის—გუმბრის მდ. მოქ. სამმართველოდან. 80. ვაგარშა ნერსესის ძე ხარმანდარიანის—ყარსის პოლიც. სამმართვ. 1909 წ. 81. გრიგოლ ოჰანესის ძე კრექიანცის—ახალ-ბაიაზეთის ქალაქ სამ. 1917 წ. 82. სტეფანე ნიკოლოზის ძე ჯამგარიანს—მოსკოვის პოლიც. სამმართველოდან 1909 წ. 83. მანუკ სარქისის ძე ავახანიანის—ნახიჩ. მილ. სამ. 1919 წ. 84. ფილიპოს გევორქის ძე ნაზარეტიანის—ერევნის სამხ. უფროს. 1905 წ. 85. ტიგრან ასტატურის ძე გრიგორიანცის—ბორჩალოს მაზრის უფროსისაგან 1904 წ. 86. რუბენ კონსტანტინეს ძე ედილიანცის—სოფ. კარავანსარაის, ყაზახის მაზრის სამმართ. 1914 წ. 87. მამედ კორჩი-ოღლის—ტფილის. პოლიც. სამმართვ. 1912 წ. 88. ხაჩატურ გევორქის ძე მანუკიანის—სოფ. ჯალალ ოღლის, ბორჩ. მაზრის სამმართვ. 1913 წ. 89 პავლე სტეფანეს ძე მელიკ-არუსტამიანის—სოფ. ბორისუმის, განჯ. გუბ., სამმართვ. 1915 წ. 90. ოჰანეს გასპარის ძე გრიგორიანის—პენზის პოლიც. 1917 წ. 91. ვართან მელიქის ძე შაგოიანის—ს. ამამლის, ერევ. გუბ., სამმართ. 1916 წ. 92. ემილია კარაპეტის ძე პარუნაკიანის—კავკავის მილიციიდან 1918 წ. 93. სირანუშ მიგრანის ასული პიუსკულიანს—სტამბ. ბელგიის სამმართველოდან. 94 ოჰანეს გასპარის ძე ტერ-გრიგორიანის—ახალ ბაიაზეთის მდ. მოქ. სამართვ. 1908 წ. 95. სამსონ—ბეკ ავაკმეკის ძე ტარხანიანის—სოფ. მუშიკენტის, განჯ. გუბ. სამართვ. 1905 წ. 96. სტეფანე არაქელის ძე არუთინოვის—პეროს სამაზ. სამართვ. 1913 წ. № 550. 97. ხაჩატურ გრიგოლის ძე სარქისიანის—სოფ. აბორანის სამართვ. 1915 წ. № 418. 98. გარეგინ მკრტის ძე სიმონიანის—მაიკოპის პოლიც. სამართვ 1914 წ. 99. გარეგინ სარქისის ძე ვართაზარიანის—სოფ. ჯალალ-ოღლის სამრთვ. 1908 წ. 100. ჯალალ გრიგოლის ძე აკოპიანცის—სოფ. გიუნე ჩერტაზის, განჯ. გუბ., სამართველოდან. 1361 1—1

1919 წ. აგვისტოს 24 ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. სათენიკ სიმონის ასულმა იაველრაინცმა 1344 მ. მიჰყიდა მოქ. ლუკა ფირანი ძე ცეცაძეს მიწის ნაჭერი შენობით, ზომით 84 კვ. ს., მდებარე ქ ტფილისის მე-11 უბანში, ქალაქ. № 393.

გადახდილია: საქტო 3 მ., განც. 1 მან 50 კ., გადასაწ 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 53 მ, 76 კაპ.

მთავარი ამონაწერი 7 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

306 1—1

ქ. ტფილისის მე 15 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის გევორქ ალექსის ძის ეგანოვის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ 1241 მუხლ. X ტ. 16 სამოქ. კანონ. დაწესებულ ვადაში თავისი უფლება ზემოხსენებულ ეგანოვის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. 1256 1—1

1918 წ. აგვისტოს 15 ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ტფილისის სადგილ-მამულო ბანკმა 105773 მ. 88 კ. მიჰყიდა ეგნატე ივანეს ძე ნარსიას მიწის ნაჭერი, ზომით 741, 5 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილისის მე-8 უბ. 19 თებერვლის ქ., ქალაქ. № 50. გადახდილია: საქტო 3 მ., განცხადების—1 მ. 50 კ., გადასაწ.—1 მ. 80 კ., სიმტკიცის—9600 მან. მთავარი ამონაწერი 1200 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

307 1—1

1918 წ. აგვისტოს 2 ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დაფნა დიმიტრის ასულმა დავრიშევამ მიჰყიდა მოქ. ესტატე მერაბის ძედაშიას მიწის ნაჭერი, ზომით 860 კვ. ს., მდებარე ქ. ხაშურში.

გახდილია: საქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ. გადასაწერი 60 კ., სიმტკიცის 8 მ.

მთავარი ამონაწერი 1 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 308 1—1

მოწმობა № 248, მიღებული ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან ისაკ აბრამისძე ტარნოგრადსკის სახელზე, დაკარგულია და გაუქმებულათ ითვლება. 1331 1—1

ქუთაისის ოლქ. სასამ. სამ. განყოფ. სისრულეში მოსაყვანათ დამტკიცა 1819 წ. თებერვლის 27 ს შედგენილი შინაური ანდერძი იესე ზურაბისძე გეგიძისა. 1565 1—1

1919 წ. აგვისტოს 6-ს სოხუმის ოლქის სასამ. სამოქ. განყოფ. სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი იოსებ კაკუჩაის ძე ბერაიასი. 1589 1—1

ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა შინაური ანდერძი ნიკოლოზ ალექსის ძე სტუდზინსკის. 1919 წ. ივლისის 4 ს. 1209 1—1

ტფილისის ოლქ. სასამ. პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ივანე ზაქარიას ძე ალექსეევისა. 1919 წ. აგვისტოს 16. 1474 1—1

ტფილისის ოლქ. სასამ. პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ეკატერინე ნიკიტას ასულის ტერ ოგანეზოვასი. 1548 1—1

ტფილისის ოლქ. სას. პირველმა სამოქალაქო განყ. სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა შინაური ანდერძი ივანე იაკობის ძე აგუნაკოვისა 1919 წ. აგვისტოს 15 ს. 1477 1—1

ქ. ტფილისის მე-12 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს აგრაფენა ვასილის ასულ ქვარიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ქვარიანის ქონებაზე, სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1272 1—1

ქ. ტფილისის მე-18 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულების 1) სიმონ იასონის ძე დატოიანცისა (იგივე დატოიშვილი), 2) ელისაბედ მარტიროვის ასული დატოიანცისა (იგივე დატოაშვილისა) და 3) ანნა სვიმონის ასული აივაზიანცისა (ქალიშვილი დატოიანცისა იგივე დატოაშვილისა) რათა წარმოადგინონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე, იმ ვადაზედ, რომელიც აღნიშნულია სამ. კანონი მეათე ტომის 1-ლ ნაწილის 1241 მუხლში გამოცემული 1871 წელსა. 1249 1—1

1918 წ. აგვისტოს 16-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ელენე, იგივე ლია, გრიგოლის ასულმა გერშენზონმა, სოფიო, იგივე სარა, გრიგოლის ასულმა ბორინსკაიამ, თამარ, იგივე რახილ, და ტესმე, ოიზერ, იგივე აიზერ, გრიგოლის ძეთ, ბაშე, იგივე ბოსია, ბრონისლავა და პინხას ზაქარას ძეთ ფრეიდმანებმა 25.000 მ. მიჰყიდეს მოქ. მოსე ილიას ძე ბეზარაშვილს მიწის ნაჭრის 33/70, ზომით $27\frac{1}{2}$ კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-4 უბ. პუშკინისა და პოლიციის ქ. ქალაქ. № 136.

გადახდილია: საქტო—3 მ. განც.—1 მ. 50 კ., გადასაწერი—1 მ. 20 კ., სიმტკიცის—1.000 მ.

მთავარი ამონაწერი 125 მ., ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 306 1—1

1918 წ. აგვისტოს 3 ს ტფილისის ოლქის სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ოლღა საჩინოს ასულმა, ნიკოლოზ, გიორგი, ნინო, იაზონ ვასილისძეთ გაბაშვილებმა, დარია ვასილის ასულმა ყიფშიძემ 4050 მ. მიჰყიდეს მოქ. ილარიონ ვასილის ძე გაბაშვილს მიწის ნაჭრის $^{23}/_{28}$ ზომით 90 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბ., ქალ. № 1460—1464.

გადახდილია: საქტო 3 მან., განც. 1 მ. 50 კაპ, გადასაწერი 1 მ, 20 კ., სიმტკიცის 162 მან., მთავარი ამონაწერი 20 მ. 50 კ., ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

308 1—1

დუშეთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, სისხ. სამ. საქ. წესდ. მე 846, 847 და 851 მუხ. ძალით ეძებს ქ. ახალქალაქის მცხოვრებს, სოლდათს ეფრეიტორის მოსამსახურეთა კომანდისა დუშეთის პრაპორშჩიკების (სასწავლებლისა) სკოლისა, მაჰიკონ სარქისას ძე მანასოვს 25 წლისა, რომელსაც ბრალი ედება სასჯელთა დებ. მე 169 მუხ. ძალით, ნიკოლოზ მატროსოვის ფულის მოპარვაზე. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს მინასოვი, ვალდებულია გამოუცხადოს ზემოხსენებულ მომრიგებელ მოსამართლეს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება ბრალდებულის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ გადასცენ საოპეკუნო სამმართველოს.

1717 1—1

ნიკო მიხეილის ძე ბანდალაშვილი აცხადებს, რომ მისი ცოლი ანნა მიხეილის ასული ბანდალაშვილი დაკარგულია უკვალოდ. ყველა, ვინც იცის მისი საცხოვრებელი ადგილი, ვალდებულია განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს. 1352 1—1

ქ. ტფილისის მე-22 უბ. მომრიგ. მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ისაკ აღდგომელის ძე სვანიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სვანიძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. მღნიშნულ ვადაში. 1323 1—1

ტფილისის მაზრ. გარე უბნის ბოქაული აცხადებს, რომ სოფ. დიღომში, სექტემბრის 20 ს დილის 10 ს. დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ერთ ცხენზე და ძროხაზე, რომლებიც აწერილია ალახ კული და ტარივერდი იმინ კულის ვალში მარკა დოლუხანოვის სასარგებლოთ და დაფასებულია თითო 25 თუმნათ.

1329 1—1

ქ. ტფილისის მე 2 ე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ პანტელეიმონ ივანეს ძე გავრილოვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება გავრილოვის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1364 1—1

სისხლ. სამართლ. სასამართლ. წარმ. წესდ. 846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილისის მე 4 უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით, ეძებს სოფიო სტეფანოვის ასულს მნაცაკანიანს, რომელსაც ბრალდება იანკოვიჩის ფულის მოპარვა. ყველა, ვინც კი იცის სად სცხოვრობს სოფიო მნაცაკანიანცი ვალდებულიარის გამოუცხადოს სასამართლოს. და წესდებულებანი, რომელ განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან გადასცენ იგი საოპეკუნო სასამართლოში.

1737 1—1

სისხლის სამართლის, სასამარ. წარმ. წესდ. 846, 847, 848 და 851 მუხლის თანახმად, ტფილისის მე-4 უბნის მომრიგებელი მოსამართლის დადგენილებით ეძებენ ქსენია ანდრიას ასულს ნაზარენკოს ბეჭდის მითვისებაზე, რომელმაც წაიღო ოქროს ბეჭედი და აღარ დაუბრუნა პატრონს. ვინც კი იცის სადა სცხოვრობს ნაზარენკო ვალდებულნი არიან გამოუცხადონ სასამართლოს. დაწესებულებები: რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება ვალდებული არიან გადასცენ იგი საოპეკუნო სასამართლოში.

1737 1—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ვალენტინა გრიგოლ ბრისჩენკოს ასულმა ბალიცკისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ალექსანდრე მარკელისძე ბალიცკი, რომელზედაც მან ჯვარი დაიწერა 1909 წ. უკვალოდ დაიკარგა კიევიდან 19 7 წლიდგან. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ალექსანდრე მარკელის ძე ბალიცკის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონის ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადონ ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში.

1261 1—1

სისხლ. სამართ. წარმ. წესდებ. 846, 847, 848 და 851 მუხლის თანახმად, ტფილისის მე-4 უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით ეძებენ კამელია სტანისლავის ასულს ბაზილევიჩისას, რომელსაც ბრალდება ხუთთუმნიანი ყალბი ბონის დახურდავება. ყველა, ვინც კი იცის სად სცხოვრობს ბაზილევიჩი ვალდებულია გამოუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულნი არიან გადასცენ იგი საოპეკუნო სასამართლოში. 1641 1—1

ვანის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ არსენ ბეკოს ძე ტვილდიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაც. არსენ ბეკოს ძე ტვილდიანის ქონებაზე სამ. კან. კრებ მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

1266 1—1

რაჭის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ქუთაისის გუბერნიისა თანახმათ 1041 მუხლ. სამოქალ. საქმეთა წარმოების წესდებისა, იწვევს მემკვიდრეებს მცხოვრების სოფელს მუხლში კიმოთე ესტატეს ძე კაციტაძისა თავისი უფლებების წარმოსადგენათ, გარდაცვალებულის უძრავ-მოძრავ ქონებაზე იმ ვადაში, რომელიც აღნიშნულია 1241 მუხ მე X ნაწ. I სამოქალაქო კანონისა. 1550 1—1

ზესტაფონის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ მისი დადგენილებისა 15 აგვისტოდან 1919 წ. იწვევს მემკვიდრეებს, გარდაცვალებულის გრიგოლ (იგივე იაკო) ივანეს ძის დეკანოიძისას, რათა მათ მიეცეს საშუალება ექვსი თვის განმავლობაში, დღიდგან განცხადების დაბეჭდვისა, წარმოადგინონ თავიანთი უფლებები ქონებაზედ, რაიცა დარჩა აღნიშნული გრიგოლ დეკანოიძის სიკვდილის შემდეგ. 1552 1—1

ტფილისის ოლქის სას. პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა შინაური ანდერძი ბოლესლავ პეტრეს ძე კორსაკის 1919 წ. აგვისტოს 12.

1433 1—1

ტფილ. ოქ. სას. სასამართლოს პირველმა სამოქ. განყ. სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ელისაბედ პავლეს ასულის სავიცკაიასი. 1441. 1—1

მომრიგებელი მოსამართლე სენაკის სამომრიგებლო უბნის ამით აცხადებს, რომ მისის გადაწყვეტილებით, შედგარის 27 აგვისტოს 1919 წ., ცნობილია გაუქმებულათ ვექსლობა, მიცემული ანდრი გოგიას ძე კიზირიას მიერ ალექსანდრე გოგიას ძე კიზირიაზე, შემოწმებული ქუთაისის ნოტარიუსის ანჯაფარიძის მიერ 13 სექტემბერს 1913 წელსა № 16553

1563 1—1

ქ. ტფილისის მე 6 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე, თანახმათ 1919 წ. 13 სექტემბრის დადგენილებისა, სამ. კან. კრებ. მე-1460—44 მუხ. ძალით აცხადებს. რომ ვექილობა მიცემული დარია სტეფანეს ასულ ტერ-აბრამოვას მიერ ნიკოლოზ აბრამისძე ტერ-აბრამოვზე და შედგენილი ტფილისის ნოტარიუს უბკევიჩთან 1918 წ. ოქტომბ. 23 ს, რეესტრი № 4947 გაუქმებულია. 1326 1—1

ტფილ. ოლქ. სასამ. სამ. განყოფ. სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის. 1919 წ. სექტემბრის 15. 1739 1—1

სისხ. სამართ. სასამართ. წესდებულ 846, 847, 848 და 851 მუხლის თანახმად ტფილისის მე 4 უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით ეძებენ ალექსი აკოფის ძე ქებაძეს, რომელსაც ბრალდება ნიკოლოზის ჯობაძის სხვა და სხვა ნივთების მოპარვა,— ყველა ვინც იცის სად სცხოვრობს ეს ქებაძე, ვალდებულნი არის გამოუცხადონ სასამართ. დაწესებულებანი, რომელთ განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულნი არიან გადასცენ იგი საოპეკუნო სასამართლოს.

1696 1—1

სვირის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმად 1241 მუხ, 1 ნაწ. კანონთა X კრებულისა, იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის მცხოვრების სოფ. სვირში, ქუთაისის მაზრისა, ალექსანდრე სოლომონის ძე კაპანაძისას, რათა განაცხადონ მემკვიდრეობის უფლება ექვსი თვის განმავლობაში იმ ქონებაზედ, რომელიც დარჩა ხსენებულ კაპანაძე.

1719 1—1

კავკასიის სინოდალური კანტორა ამით აცხადებს, რომ 1919. წ. თებერვლის 14-ს იქ შეიტანა თხოვნა ვასილ ნიკოლაისძე მუცენკომ, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, სასახლის შესახვევი, № 19, მის ცოლთან ანნა ტიმოთეს ასულ მუცენკოსთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარდაწერილი არიან ტფილისს ქვაშვეთის ეკლესიაში 1910 წ. ნოემბრის 14-ს. მთხოვნელის მუცენკოს განცხადებით ანნა მუცენკო არა სჩანს 1911 წლიდან. ამ განცხადების ძალით ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს, ანნა მუცენკო, ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს სინოდალურ კონტორაში ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 1295 1—1

კავკასიის სინოდალური კანტორა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. აგვისტოს 4 ს იქ შეიტანა თხოვნა ნიკოლოზ სტავრისძე პისალიდიმ მის ცოლთან ფეონა დიმიტრის ასულ პისალიდისთან განქორწინების შესახებ. ფ. პისალიდი მიწვეულია სინოდალურ კონტორაში დასარიგებლათ დამოწმების დაკითხვის დროს დასასწრებლათ. თუ ამ განცხადების დაბეჭდვიდან ერთი თვის ვადაში არ გამოცხადდა პისალიდი, საქმის წარმოება გაგრძელდება.

1295 1—1

კავკასიის სინოდალური კონტორა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. ივლისის 28-ს იქ შეიტანა თხოვნა ევდოკია აკიმის ასულმა ლიპოვამ, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, კოჩუბეევის ქ., № 10, მის ქმართან კირილე გაბრიელის ძე ლიპოვთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარ დაწერილი არიან მედვედიცკის ოლქში, ღვთისმშობლის ეკლესიაში 1910 წ. თებერვლის 15-ს. მთხოვნელის კირილე ლიპოვას განცხადებით კირილე ლიპოვი არა სჩანს 1911 წლიდან. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს კირილე გაბრიელისძე ლიპოვი, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კონტორას ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 1295 1—1

ტფილის. ოლქ. სასამ. სამოქ. განყოფილებამ სისრულეში მოსაყვათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი კონსტანტინე სიმონის ძე დავიდოვის 1919 წ. აგვისტოში.

1559 1—1

ქუთაისის ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აგვისტოს 26-ს დამტკიცებულია იმავე წლის აგვისტოს 13 ს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სოფიო დავითის ასულმა ქუთათელაძემ, ოლღა დავითის ასულმა კოსტავასამ და მარგარიტა დავითის ასულმა ალიბეგოვამ 310,000 მ. მიჰყიდეს ისრაილ და დანიელ ისხაკის ძეთ თავდიდიშვილებს მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. ქუთაისში, ლევაშოვის ქ., ზომით: ა.—362,2 არ., დ.—$36^{1}/_{2}$ ს., ს.—14 ს. 1 არ., ჩრ-3 ს. 1 არ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 12400, მ. მთავარი ამონაწერი 3100 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 1678 1—1

ქუთაისის ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აგვისტოს 27-ს დამტკიცებულია იმავე წლის ივლისის 29 შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იკუტიელ მარდახის ძე ციციაშვილმა 100,000 მ. მიჰყიდა ისხაკ აბრამის ძე ელიგულაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. ქუთაისში ხელთუფლიშვილების შესახვევში, ზომით $30^{19}/_{100}$ კვ. ს. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 4000 მ. მთავარი ამონაწერი 100 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. აგვისდოს 27. 1672 1—1

ტფილ. ოლქ. სასამ. პირველმა სამოქ. განყოფ. ს სრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი თომა ოტიას ძე გოივაძისა 1919 წ. აგვისტოს 28.

1558 1—1

ტფილისის ოლქ. სასამ. პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი მარიამ გრიგოლის ასული გურგენ ბეკოვასი.

1557 1—1

ზესტაფონის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ მისი დადგენილებისა 23 ამა აგვისტოდან 1919 წ. იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის ფედორი კონსტანტინეს ასულის ნებიერიძისას, შალამბერიძის ასულისას, რათა მათ მიეცესთ საშუალება, ექვსი თვის განმავლობაში, დღიდან განცხადების დაბეჭდვისა, წარმოადგინონ თავიანთი უფლებები ქონებაზედ, რაიცა დარჩა აღნიშნული ფედოსი ნებიერიძის გარდაცვალების შემდეგ.

1551 1—1

თავმჯდომარე ტფილისის საოლქო სასამართლოსი აცხადებს, რომ შულავრის სამომრიგებლო განყოფილების სასამართლოს ბოქაული არუთინა ტერ-პეტროსოვი სამსახურში დროზედ გამოუცხადებლობის გამო დათხოვნილ იქნა სამსახურიდან ა. წ. 1-ლ აგვისტოდან და მოიწვევს იმ პირთ, რომელთაც აქვთ რაიმე მოთხოვნილებანი მის თანამდებობის საწინდარზედ, რათა მათ ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შემოიტანონ იგი (მოთხოვნანი).

1718 1—1

სისხლ. სამ. წარმ. წეს. მე—846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სას. დადგენილებით, ეძებენ სამუილ მარმოვის ძე იუზბაშევს. ბ. ალ. 13 და 1666 სასჯელ. დებულ. დაკარგულის ნიშნები ცნობილი არარის. ყარსის მცხოვრებია. ყველა, ვინც იცის სამუილ მარმოვის ძე იუზბაშევის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს ამაზე. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საოპეკუნო გამგეობას. 1586 1—1

ვაცხადებ დაინტერესებულ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ ჩემ მიერ მიცემული მოწმობა პირადობის და სამსახურის 16 აპრილიდან ამა წლისა № 143 მილიციონერ დავით მარკოზის ძე ოდილავაძეზე, რომელიც ასრულებდა ფოსტალიონის მოვალეობას ფოსტის გაცვლა-გამოცვლის დროს ლანირ—ჰაგანი—კულაში—სამტრედიას შორის—აღნიშნული მოწმობა გაუქმებულია. ლანირ—ჰაგანის ფოსტა ტელეგრაფის განყოფილების უფროსი ანდრიაძე 1531 1—1

1918 წ. აგვისტოს 2 ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც თედორე ალექსის ძე ივანოვმა 800 მან. მიჰყიდა მოქ. ავქსენტი სიკოს ძე კაპანაძეს მიწის ნაჭერი, ზომით 84 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-11 უბანში, ქალაქ. № $476^{1}/_{143}$.

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწერი—60 კ., სიმტკიცის 32 მ. მთავარი ამონაწერი 4 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

307 1—1

სისხლის სამართლის სასამარ. წარმ. წესდების 846, 847, 848 და 851 მუხლისა თანახმად, ტფილისის მე 4 უბნის მომრიგებელ მოსამირთლის დადგენილებით ეძებენ ვაღარშავ ოსიპოვს, სედრაკ ვართანოვს და ოვანეზ ვართანოვს, რომელთაც ბრალდებათ გუსეინკული მამედ ალი ოღლის ფულის მითვისება. ყველა ესენი ვინცკი იცის სადა სცხოვრობენ ისინი ვალდებულნი არიან გამოუცხადონ სასამართლოს, — დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მათი ქონება, ვალდებულნი არიან გადასცენ იგი საოპეკუნო სასამართლოში. 1619 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

დროებით რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე